საერთო გაზეთი

№42 (453) • 15 ნოემბერი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ზამთარი ჩვენი მღელვარებისა

● არსებობს თუ არა სახელმწიფო გადატრიალების სცენარი და რა პოლიტიკური ძალები აპირებენ მის განხორციელებას?

● „ზამთრის შუა თვეებში გააქტიურდებიან რადიკალური ჯგუფები, რომლებიც სიტუაციის უკიდურესად დაძაბვას და სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებას შეეცდებიან“

ანზორ ჭითანავა:

ენგურჰესის რეაბილიტაციის პროცესი 2019 წელს დაიწყება

რამდენად საშიშია ენგურის გვირაბში გაჩენილი ბზარები და რა მოხდება კაშხალის გარღვევის შემთხვევაში?

„პრობკაში“ გაჭედილი ქალაქი

ტრამპის დიდი მოგზაურობა და სიიდან ამოშლილი საქართველო

საფანის მთავარი სამიზნე

რამაზ გახოკიძე:

როგორ დავძლიოთ იმპოტენცია?

კოდური სიტყვა „უნიტაზი“, ზონდერების „უსტაბაში“ გოგა ონიანი და სამართალი, რომელმაც პური ჭამა

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

„როცა ახლოა მზე შემოდგომის!“

გალაკტიონი

ზაზა შათირიშვილს

ვზი აივანზე
უძილობით ღამენათევი,..
ისევ მოფრინდნენ დამშეული
უბნის მტრედები,..
ბებრული სევდა –
შავი აცმა თლილი გიშერის,
ხელში მადნება
როგორც ძველი კრიალოსანი...
დატბორილია მოგონება
სველი შროშნებით
და თვლემს წარსული
არეული ფერად სიზმრებით...
ახლა შორია,
ყველაფერი ისე შორია,
როგორც „მონტაზა“,
როგორც ძველი ისკანდერია!
ვზი აივანზე უძინარი
და ვხედავ სიზმარს: –
– აი,
„მონტაზა“ საბრძანისი ფარაონების!
გადასისხლული ზამბახები
ზღვის ჰაერს სვამენ,
მწიფს შავი ლეღვი,
კლეოპატრას დილის საუზმე...
ზღვით მონაბერი ცისკრის ნესტით
სოველი ბაღი
დახუნძლულია ვარდისფერი ლოკოკინებით,..
– ეს ნიჟარები მაგონებენ
პატარა ჭიქებს,
პატარა ჭიქებს
კაოლინის ფაიფურისას!
მწიფს შავი ლეღვი,
კლეოპატრას ძუძუსავით მკვრივი,
რძიანი...
ახლა შორია,
ყველაფერი ისე შორია,
როგორც „მონტაზა“,
როგორც ძველი ისკანდერია!
მთვარის ერთგული აზნაური
მორჩილი მისი,
აღარ ვენდობი
ჩამოშვებულ იისფერ ბლონდებს,
რადგან გამწირა,
მიმატოვა მღვრიე ქალაქში,
ნაწნავიანი წვეროსნების
გაბმულ ღნავილში,
აქოთებული ბორდელების
ახალ მექაში –
კაცები წინდებს არ იცვამენ,
ქალები ნიფხავს...
– მე აქ რა მინდა,
აქ რა მინდა, ამ ბაბილონში?!
„როცა ახლოა მზე შემოდგომის“...
უკვე თანდათან ემატება
სიყვითლე ბაღებს,
თვლემს მოგონება
არეული ძველი სიზმრებით...
ბანგნარევია შემოდგომის მზე
როცა
დრო გადის შენს გარეშე,
გარბის უშენოდ!
... „როცა ახლოა მზე შემოდგომის“...
– მალინა!
მალინაااა!
ჟოლოს ყიდის დედაკაცი ბორჩალოელი,
მიდის, მიათრევს დაცლილ ვედროს,
სავსე კალათებს...
ატმის ბაღებში ნამთვრალევი
შემოდგომის მზე
მოახლოვებულ ფოთოლცვენას
ღებავს ზაფრანით...
ვზი აივანზე
ესღა არის ჩემი აგარა
და თვლემს და ბჟუტავს მოგონება,
როცა ახლოა აღსარება,
როცა ახლოა პარაკლისი უკანასკნელი!..
– „როცა ახლოა მზე შემოდგომის“...
სადღაც ხარშავენ ჟოლოს მურაბას –
– და ნიავს მოაქვს, მორონინეს,
მოტკბო სურნელი!..
და დედაჩემი მახსენდება
კალმით ნახატი,
კალმით ნახატი სათნოება
ყელმოღერილი!..
სადღაც ხარშავენ ჟოლოს მურაბას
და თვალწინ მიდგას სამურაბე
ოქროსფერი სპილენძის ტაშტი,
ნავთქურაზე მოთუხთუხე
ქაფით და ორთქლით!..
ეს დედაჩემის სურნელია,
ჩემი ბავშვობის!..
მადგება ცრემლი,
მაგრამ ცრემლიც აღარსად არის!..
– მალინა!
მალინაااა!
ისევ გაყვირის დედაკაცი
ბორჩალოელი,..
და ხმა თანდათან იკარგება
და ღიავდება
წყალში გახსნილი
აკვარელის საღებავივით...
– „როცა ახლოა მზე შემოდგომის“!
მზე ნამთვრალევი,
ჩაშაქრებულ ვენახებიდან
ბრუნდება, როგორც ფადიშაჰი
ჰარამხანიდან!..
დამცხრალია და გულმოწყალე
შემოდგომის მზე!..
მის გამდნარ ოქროს ზვრებში ჩაყრილს,
ჩამტკბარს, ჩათესლილს,
მალე მარნებში დაწურავენ,
დაადუღებენ,
რომ ქრისტეს სისხლმა ძალა მისცეს
ჩემს ჯიშს და ჯილაგს,
რომ კვლავ გამრავლდეს ნაღდი მამრი –
– მზის ნაშიერი!..
შორს ზარი რეკავს
ზარი მშვიდი,
ზარი მიმწუხრის...
შორს ზარი რეკავს, ალბათ მიხმობს,
ალბათ მეძახის...
– „როცა ახლოა მზე შემოდგომის“!..

რეზო ამაშუკელი
2017 წ. 17 ოქტომბერი

სამთავრობო ცვლილებები

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უერთდება ენერგეტიკის სამინისტრო და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების მართვის კომპონენტი. უწყებას ფინანსთა ახლანდელი მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი უხელმძღვანელებს, რომელიც

ასევე ინარჩუნებს პირველი ვიცე-პრემიერის პოსტს.

ცვლილებების თანახმად, შს სამინისტროში დღეს მოქმედი საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსა და სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს შერწყმა ხდება. რეორგანიზაციის შედეგად იქმნება საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი, რომელსაც ყოფილი შს მინისტრი უხელმძღვანელებს.

შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს გიორგი გახარია დაიკავებს.

ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე ქუმსიშვილის შემცვლელად „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელი მამუკა ბახტაძე დაინიშნება.

გარემოს დაცვის სამინისტროს უერთდება სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელსაც სოფლის მეურნეობის მოქმედი მინისტრი ლევან დავითაშვილი უხელმძღვანელებს.

ასევე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი საგარეო საქმეთა სამინისტროს უერთდება. უწყებას ვიცე-პრემიერი, მიხეილ ჯანელიძე ჩაუდგება სათავეში.

პარლამენტს წარედგინება ცვლილება, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს უერთდება საგარეო დაზვერვის სამსახური.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

ანზორ ჭითანავა:

ენგურჰესის რეაბილიტაციის პროცესი 2019 წელს დაიწყება

2019 წლის პირველივე თვეებში ამიერკავკასიის უდიდესი ჰიდროელექტროსადგური შეიძლება, რამდენიმე თვით გაჩერდეს. ამის მიზეზი ენგურჰესის კაშხლის 14 კილომეტრიანი გვირაბის ძველი და ახალი ბზარებია, რომლებიც დაკვირვებას და შესწავლას მოითხოვენ. სპეციალისტები ამბობენ, რომ ენგურის კაშხალში ოთხ მილიონ კუბურ მეტრზე მეტი ბეტონია ჩასხმული და მისი საიმედოობა ეჭვს არ იწვევს, თუმცა, გვირაბი, რომელიც ოთხი ათეული წელია ექსპლუატაციაშია, გარკვეულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს საჭიროებს. მით უმეტეს, რომ ფილტრაციული წყლის რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, არსებობს მეწყერის განვითარების საფრთხე. გავრცელებული ინფორმაციით, ენგურჰესის რეაბილიტაციას 25 მლნ. დოლარი დაჭირდება. სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში საქართველოს დამატებითი ელექტროენერგიის შესყიდვა მეზობელი სახელმწიფოებისგან მოუწევს.

თავის დროზე, ენგურჰესის მშენებლობა ქართული ტექნიკური აზროვნების ისტორიის ყველაზე თამამი ჩანაფიქრის განხორციელება გახლდათ. იმდენად თამამი, რომ სკეპტიკოსები ჰესის აშენების იდეას უტოპიად და ფანტაზიად მიიჩნევდნენ. ვიღაცას კავკასიონის კალთებზე დაწყებული მშენებლობის მასშტაბურობა და რელიეფის სირთულე, ვიღაცას კი ადგილის სეისმომდგრადობის პრობლემა აშინებდა.

რამდენად საშიშია ენგურის გვირაბში არსებული ბზარები და რა მოხდება კაშხალის გარღვევის შემთხვევაში? ამ და სხვა თემებზე ჰიდროტექნიკოსი, ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ანზორ ჭითანავა გვესაუბრა:

– დავიწყებ იმით, რომ ენგურჰესი უნდა განვიხილოთ როგორც კომპლექსი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური წინსვლა, ურთიერთობები ხალხებსა და რეგიონებს შორის და ყველაფერი, რაც ქვეყნის მომავალს აერთიანებს. მე ვამაყობ, რომ 30 წლის განმავლობაში გახლდით ჰიდროპროექტის ინსტიტუტის დირექტორი, რომელმაც მსოფლიოში უნიკალური ენგურის კომპლექსი ჩაიფიქრა და სანამ დაშლიდნენ, ზედამხედველობას უწევდა.

– ვინ, როდის და რატომ დაშალა თქვენი ინსტიტუტი?

– 2010 წელს კახა ბენდუქიძის პერიოდში გაიყიდა. იგივე ბედი ეწია ენერგეტიკის მიმართულებით მომუშავე სხვა ინსტიტუტებსაც. პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩვენ ვართ ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ყველა საპროექტო, სამშენებლო, საძიებო და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია ლიკვიდაციაში გაუშვა. ჩვენს გარდა, არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც არ აქვს ენერგეტიკული კვლევა-ძიების, ენერგეტიკული და უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე სტრუქტურა. პირდაპირ გეტყვით, რომ ეს არის ბნელი მომავალი, უპერსპექტივო და განუვითარებელი ქვეყნისა, რომელსაც თავისი ენერგეტიკული მოწყობის ძირითადი პრინციპები გარე ძალებზე აქვს აგებული. შესაბამისად, თუ ხელისუფლებამ გადამჭრელი ზომები არ მიიღო, ჩვენ როგორც ინტელექტუალური, ასევე ენერგეტიკული თვალსაზრისით, ყოველთვის სხვაზე დამოკიდებული ვიქნებით. არადა, ჩვენთან ეს სკოლა 1922 წლიდან, ზაჰესის შექმნის დროიდან არსებობდა და საბჭოთა კავშირის დაშლამდე, ქართული მათემატიკის, ფიზიოლოგიისა და ენათმეცნიერების სკოლებისა მსგავსად, სოფლიოში აღიარებული იყო. დღეს მსოფლიოში განახლებადი და არატრადიციული ენერგეტიკის მიმართულებით ვითარდება და ჩვენ კონფერენციებზე და სიმპოზიუმებზეც კი ვერ მივდივართ, რადგან წარსულის გარდა, აქტივში არაფერი გვაქვს. წარსულით ცხოვრება კი მოგეხსენებათ, მომავლის გარანტი არ გახლავთ.

– სანამ მომავალზე ვისაუბრებთ, იქნებ ენგურჰესის გვირაბში არსებულ ბზარებზე და მათგან მომდინარე საფრთხეებზე გვიამბოთ?

– მომავალ წელს ენგურჰესს ექსპლუატაციაში შესვლიდან 40 წელი შეუსრულდება. 1991 წელს ჰიდროელექტროსადგურმა მთლიანად გამოისყიდა მასზე დახარჯული თანხები და მას შემდეგ ქვეყნის წინსვლასა და ეკონომიკის განვითარებაზე მუშაობს. 25 წლიანი ქაოსის პერიოდში დარგის მუშაკებმა შეძლეს, რომ ობიექტის შენარჩუნება და ძირითადი ნაგებობები გადარჩენილიყო და დღეს ის ენერგეტიკის საბაზისო ორგანიზაციას წარმოადგენს, რომელზეც ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერგიის დაახლოებით ნახევარი მოდის. თუმცა, ეს ყველაფერი არაა.. ენგურჰესი ენერგეტიკის ორგანიზმში შემავალი მნიშვნელოვანი ორგანოა, რომელშიც აკუმულირებულია უდიდესი მოცულობის სიმძლავრეები და მათ რეალიზებას შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ახდენს, როდესაც მისი მოთხოვნა და გამოყენების პარამეტრები უფრო აქტუალურია. გარკვეული ანომალიები და ფილტრაციული გამოვლინებები არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს, როცა ის კონტროლირებადია.

– რას გულისხმობთ?

– ენგურის გვირაბი დაპროექტებულია ბზარების გათვალისწინებით და მისი კონსტრუქცია



იმდენად ზედმიწევნით არის დასაბუთებული, რომ ნაგებობასთან მიმართებაში პასუხგაუცემელი კითხვები არ გვაქვს. ჩვენ ეს ნაგებობა ექსპლუატაციაში გამოვცადეთ. ავტომატიზირებული სისტემით ყოველდღიური დაკვირვებებით, ვიზუალური თუ კომისიური დათვალიერებით და იმ შეფასებებით, რომელიც ინფორმაციის სახით შემოდის, ნაგებობის საიმედოობასთან დაკავშირებით, საფრთხეებს ვერ ვხედავთ, თუმცა ადამიანის მსგავსად, პერიოდულად ენგურჰესსაც ჭირდება „ექიმთან მისვლა“ და გამოკვლევის ჩატარება.

– რა სიხშირით?

– ჩვენ ექსპლუატაციის ინსტრუქციაში გათვალისწინებული გვაქვს ნაგებობის ქცევისა და შეფასების კრიტერიუმები. დადგენილია, რომ 12–15 წელიწადში ერთხელ, სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა ჩატარდეს ენგურის ყველა ძირითად ნაგებობაზე (კაშხალი, გვირაბი, მიწისქვეშა ჰესის შენობა, წყალმიღები, გამთანაბრებელი რეზერვუარი და ა.შ.) ეს ყველაფერი უნდა მოხდეს კანონზომიერად, გარკვეული ინფორმაციისა და მონაცემების ანალიზის საფუძველზე. ამის გარდა, სადგური 5 წელიწადში ერთხელ უნდა გავაჩეროთ და შევაფასოთ მისი „ჯანმრთელობისა მდგომარეობა“ ჰესის გაჩერება, რომელიც 2019 წლისთვისაა დაგეგმილი, გამიზნულია სწორედ ამ შეფასებისათვის. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის დაშლის მერე ენგურის დათვალიერება და ინსტრუქციაშია ჩამოთვლილი პარამეტრები და ორიენტირები, არ სრულდებოდა, რასაც შეიძლება შეუქცევადი პროცესები გამოეწვია. საბედნიეროდ, ჩვენი სპეციალისტები გმირობის ტოლფასი თავგანწირვით აკონტროლებდნენ სიტუაციას და იძლეოდნენ სათანადო შეფასებებს იმისათვის, რომ ნაგებობის ექსპლუატაცია რაც შეიძლება მდგრადი და საიმედო ყოფილიყო.

— თუმცა, არც ბუნებრივი კატაკლიზმები უნდა დაგვავიწყდეს, განსაკუთრებით, 2011 წელს ფუკუშიმას ატომურ რეაქტორზე მომხდარი კატასტროფის შემდეგ. ამიტომ პირდაპირ გკითხავთ, რა მოხდება კაშხლის გარღვევის შემთხვევაში?

– რა თქმა უნდა ბუნებრივი კატაკლიზმების გამორიცხვა შეუძლებელია, მაგრამ ჩვენი ნაგებობები გათვლილია 9 ბალიან მიწისძვრაზე და 10 000 წელიწადში ერთხელ რომ მეორდება, ისეთ წყალმოვარდნაზე. წარმოიდგინეთ რამხელა დიაპაზონში ხდება ნაგებობის შეფასება და მისი სიმტკიცისა და მდგრადობის გაანგარიშება. 1962-დან 1968 წლამდე დაპროექტდა ენგურის თაღოვანი კაშხალი, მეორე ეტაპი იყო ტექნიკური პროექტი, რომელიც1968 წლიდან 1972 წლამდე განხორციელდა და 1972 წლიდან 1982 წლამდე ტარდებოდა მუშა პროექტირება. ჩვენ სამ ეტაპად გავიარეთ რთული გზა, რომელსაც ენგურის ნაგებობების დასაბუთება, მისი საიმედოობისა და კრიტერიუმების დადგენა და შეფასება ქვია და ეს საბჭოთა კავშირის სინამდვილეში უნიკალური შემთხვევა გახლდათ. კაშხლის გარღვევის შემთხვევაში, დადგენილია გარღვევის ზოლი და ტალღის გავრცელების პარამეტრები. ობიექტზე გვაქვს დაკვირვებების ავტომატიზირებული სისტემები, რომლებიც ყოველ წუთს და ყოველ წამს ახდენს არსებული მდგომარეობის შეფასებას. სიტუაცია 24 საათის განმავლობაში კონტროლდება და ამ კონტროლიდან გამოვარდნის თეორიული შანსიც მინიმუმამდეა დაყვანილი, იმიტომ, რომ ის ადამიანის სუბიექტურ მოქმედებაზე დამოკიდებული არაა და გათვლებს და შეფასებებს ავტომატურ რეჟიმში აკეთებს. თუ რაღაც ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან თავსებადი არ იქნება და ნაგებობის მდგრადობაში ეჭვი გვეპარება, ამავე ინტრუქციით გათვალისწინებულია წყალსაცავის ეტაპობრივი დაცლა კაშხლის ტანში არსებული წყალგამშვები სისტემებით. ამის გარდა, არსებობს ისეთი საგანგებო სიტუაცია, როგორიც ომის წინა პერიოდია. ამ შემთხვევაშიც, ინსტრუქციით გათვალისწინებულია წყალსაცავის უვნებელ დონემდე დაცლა, რომლითაც მოსახლეობას და ეკონომიკას არ დააზარალებს.

– აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარეო სამარი მოქმედებების დროს, ენგურის წყალსაცავი დაცლილი იყო?

– ენგურის წყალსაცავის მაქსიმალური ნიშნული ზღვის დონიდან 510 მეტრია, ხოლო წყლის მოცულობა მილიარდ 100 მილიონი კუბის ფარგლებში გახლავთ. ომების დროს, წყალსაცავი დაცლა არ მომხდარა, მაგრამ მინიმალური ნიშნულები იქნა შენარჩუნებული, რაც საშუალებას გვაძლევდა, რომ პროცესები გვეკონტროლებინა. საგანგებო სიტუაციებში არსებობს მექანიზმი, რომელიც ნაგებობების რღვევისა და დაზიანებების რისკების შემცირებას უზრუნველყოფს. თუმცა პრევენცია მარტო ეს კი არა, ისიც არის, რომ სტიქიური მოვლენების გავრცელების ზონაში უსაფრთხოების კრიტერიუმები მაქსიმალურად დაცული იყოს.

– დაგვიკონკრეტეთ, რომელი უსაფრთხოების კრიტერიუმებს გულისხმობთ?

– ამ ზონაში არ შეიძლება ადამიანების ჩასახლება და შენობა-ნაგებობების, მრეწველობის, ტრანსპორტისა და სხვა კომუნიკაციების განთავსება. დასაშვებია, მარტო ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები წარმოება. უნდა გვახსოვდეს, რომ უსაფრთხოების ზონების დაცვის შემთხვევაში, ზარალი გაცილებით ნაკლები იქნება.

– როგორც ვხედავ, ამჟამად, უსაფრთხოების ზონები დარღვეულია..

5 გვ.

კოდური სიტყვა „უნიტაზი“, ზონდერების „უსტაბაში“ გოგა ონიანი და სამართალი, რომელმაც პური ჭამა

ხელისუფლებები მიდიან და მოდიან, საზოგადოება ყოველი მათგანიდან სიახლეს ელოდება, თუმცა უმთავრესი მოთხოვნა, ყოველთვის, ყველა ეტაპზე, ყველა ეპოქაში სამართლიანობა იყო, არის და იქნება!

სამართლიანობა პოლიტიკოსთა კეთილი ნების გარეშე რაოდენ სამართლიანი ძალოვანი უწყებებიც არ უნდა ფუნქციონირებდნენ ქვეყანაში, ვერა და არ იქნება მიღწეული. რამდენიმე წლის წინ ვიცოდით რომ სამართლიანობის აღდგენა დაიწყებოდა და რომ ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, ამომრჩევლები, სამართლიანობას ვიზეიმებდით. დღეს ვიცით, რომ ისინი ვინც ერს სამართლიანობის განცდა ჩაუკლა, ისევ „წყლის ზედაპირზე ტივტივებენ“, მერე რა, რომ ჩვენ, უბრალო მოკვდავებმა ვიცით რა ტივტივებს წყლის ზედაპირზე, ზოგადად.

ევროპამ გამოაირა ფაშიზმი და დღეს როცა ევროპულ მაღალ ღირებულებებზე გვესაუბრებიან, ჩვენ, ქართული ნაცფაშიზმის ტყვეობა-გამოვლილებს, ვცდილობთ, ვისარგებლოთ უვიზო რეჟიმით და გადავიკარგოთ სადმე, ისე, რომ უკან მობრუნება არ დაგვჭირდეს.

ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციის“ გარიჟრაჟზე სისხლით და მახვილით მკვიდრდებოდნენ ნაცები, პოლიციელებს ზონდერების სული შთაბერეს, განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვეს (მხოლოდ ზეპირი მითითებით, კანონი მოგვიანებით არაკონსტიტუციური ცვლილებებით და დამატებებით „გადაშტოპკეს“) და სწორედ გვამების დამკვეთი შს მინისტრის არაოფიციალური ბრძანებით, უდანაშაულო საჯიშე ბიჭებზე საჩვენებელი ნადირობა გააჩაღეს. სისხლზე დაგეშილი ტვინგამორეცხილი „ტურები“ კამერების წინ პოზირებდნენ და საზოგადოებას უტიფრად ატყუებდნენ, რომ უდანაშაულო ბიჭები კრიმინალები იყვნენ და თვითონ წესრიგის და საზოგადოების უსაფრთხოების დამცველები. შსს პროკურატურას „რეცხავდა“, პროკურატურა შსს-ს და შემდეგ ორივე მიშას დორბლის წმენდით იყვნენ დაკავებულნი. სასამართლო მხოლოდ ნოტარიუსის ფუნქციას ითავსებდა და ადვოკატთა კორპუსი „ვენოკი“ გახლდათ საფლავზე დადებული… 2012 წელს შავი ღრუბელი შეიკრა „სანაცეთის“თავზე, ცოტახნით დარდმა და მომავლის შიშმა დაისადგურა მათ ბნელ სულში, - რა გვეშველება? — კითხვა აქტუალური გახდა მათთვის და პასუხმა მიშასგან არ დააყოვნა — ხელი და ტვინი გაანძრიეთ და გეშველებათო. ამ მესიჯის შემდგომ იწყეს ნაცვირთხებმა სოროებიდან ამოძრომა და „ვირთხული“ცხოვრების გაგრძელება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წარსულში განსაკუთრებული სისასტიკით, ის „ზონდერმაღალჩინოსნები“ გამოირჩეოდნენ რომლებიც „ოპერებად“დახვდნენ შსს-ში „ნაცებს“და იქიდანაც გაგდებულ დაბრუნებული გახლდნენ „ვირთხული“საქციელის გამო. როგორი დაკომპლესებულ დაბოღმილი სულის პატრონები იქნებოდნენ ძნელი მისახვედრი არ არის. ერთ-ერთს ჯერ კიდევ 2002-წელს ისე უჭირდა, სიდედრთან ცხოვრობდა ოროთახიან ბინაში და გატეხილი უნიტაზის გამოცვლას ერთი კვირა „ჩალიჩობდა“…სამაგიეროდ 2004 წლიდან, ეშმაკთან დადებული ხელშეკრულების შედეგად დაიწყო აღმასვლა, მართალია სისხლით და გვამებით მოფენილ გზაზე დაძრწოდა, თავის მეგობარ თანამშრომლების მიერ ჩადენილ მკვლელობას წარმატებით „ტენიდა“უდანაშაულო ადამიანებს და შემდეგ ტელეეთერის საშუალებით საზოგადოებას „აბოლებდა“, მაგრამ მასაც სურდა მდიდარი, წარმატებული „ბიჭუნა“ყოფილიყო და არის კიდეც დღეს. კამერების წინ კეკლუცი, ხელისუფლების ჭკუის დარიგება და პოლიციის დისკრედიტაცია ექსტაზში აგდებს ყმაწვილს. თუმცა, თავისი და „მეგობართანამრომლების“ ბნელი, სისხლიანი წარსული ავიწყდება და როგორც ჩანს მომიწევს წვრილად შევახსენო მას და მის „თანამეგობრებს“ სხვაზე „მიწებებული ტრუპების ქრონიკა“.კოდური სიტყვა „უნიტაზი“მისი მეგობრებისთვის ვფიქრობ, ძნელი გასაშიფრი არ გახდება…დაკავებული თუ ძებნილი ზონდერების ახლობლები ყველა ხერხით ცდილობენ, რომ გაამართლონ ისინი და უტიფრად აცხადებენ, რომ თურმე კრიმინალს ებრძოდნენ და ევროპულ სახელმწიფოს აშენებდნენ. გამოდის, რომ ზედემოკრატიულმა შსს-მ კონსტიტუციის გვერდის ავლით დააკანონა ქუჩაში უდანაშაულო ხალხის დახვრეტაც…აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არცერთი დაკავებული „ზონდერი“არ ცნობს თავს დამნაშავედ და არც მონანიების სურვილი არ აქვთ. ასევე, ერთ ხმაში არ ცნობენ მოწმის და დაზარალებულის ჩვენებას მტკიცებულებად. არადა, მათი „გუგუნის ხანაში“უამრავი სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ შსს-ს თანამშრომლების ჩვენებით იყო გამყარებული. ჯერ კიდევ სამი წლის წინ, როდესაც უფლებადამცველის მანტია მორგებული ზონდერი-გოგა ონიანი, დააკავეს მან ტელეკომპანია „რუსთავი 2“—ს, განუცხადა, რომ „მისი დაკავება „ცალსახად“ პოლიტიკურად მოტივირებულია, რადგანაც ის მაჟორიტარ დეპუტატად აპირებდა კენჭისყრას თბილისის საკრებულოში.” მისი თქმით, როდესაც ხელისუფლებამ ამის შესახებ შეიტყო, მისი ყოფილი ხელქვეითები პოლიციაში დაკითხეს და მის წინააღმდეგ ყალბი ჩვენების მიცემა აიძულეს.

პროკურატურის განმარტებით ონიანი სასამართლოს განჩინების საფუძველზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, სამსახურებრივი სიყალბისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ მტკიცებულებების ფალსიფიკაციის, ასევე განზრახ უკანონო დაკავების ფაქტზე დააკავეს 2011 წლის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს უფროსის მოადგილედ მისი მუშაობის პერიოდს უკავშირდება. გოგა ონიანის დაკავებას დაზარალებული დავით შათირიშვილის ადვოკატი გამოეხმაურა. ალექსანდრე კობაიძის თქმით, შათირიშვილს წლების განმავლობაში მძიმე პირობებში უწევდა ცხოვრება. მას ჩამოართვეს მართვის მოწმობა და არ ჰქონდა მუშაობის უფლება. შესაბამისად, მის საქმეზე არამარტო გოგა ონიანი, არამედ ის პირებიც უნდა მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ შათირიშვილის უკანონო დაპატიმრებაში. დავით შათირიშვილი 2011 წელს დააკავეს და ბრალი ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვაში დასდეს. მოკლედ სამი წლის წინ დაპატიმრების შიშით ონიანი კლინიკაშიც მოხვდა, (გულის პრანჭვების გამო) მისმა მხარდამჭერებმა უფრო სწორედ „ნაცგამპრავებლებმა“ პროტესტის ნიშად საბურავები დაწვეს მოდულის შენობასთან, ბევრიც „იწიკვინეს“, ყოფილმა შსს-ს თანამშრომლებმა გულისამაჩუყებელი განცხადებაც გაავრცელეს: „ჩვენ, გიორგი ონიანის ყოფილი თანამშრომლები ვაპროტესტებთ მის უკანონო დაკავების ფაქტს, ვაცნობიერებთ რა აღნიშნული ფაქტის პოლიტიკურ შემადგენელს სრულად ვიზიარებთ პასუხისმგებლობას მის უშუალო დაქვემდებარების დროს განხორხციელებულ ყველა საქმესთან დაკავშირებით. გიორგი ონიანი, ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით, პატიოსნებით, საქმისადმი თავდადებითა და ერთგულებით, მოქალაქეებთან ურთიერთობაში კი გულისხმიერებით. ის შეუპოვარი იყო კრიმინალთან ბრძოლაში, რადგან სწორედ კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლა იყო ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების მთავარი დაკვეთა და საქართველოს წარმატების მთავარი წინაპირობა. სამსახურებრივი დაქვემდებარებაში არსებულ და მასზე თანამდებობრივად ზემდგომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებში გიორგი ონიანი ყოველთვის სარგებლობდა ავტორიტეტით მის მიერ განხორციელებული საქმეებიდან გამომდინარე. თანამშრომლებში ყოველთვის იგრძნობოდა მისი ხელშეწყობა, ამის დასადასტურებლად კმარა თუნდაც დღევანდელი შს მინისტრი, ბატონი ალექსანდრე ჭიკაიძე, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის პირნათლად შესრულების გამო სწორედ გიორგი ონიანის რეკომენდაციითა და წარდგინებით იქნა დაწინაურებული. ბატონი გიორგი ჩვენთვის ყოველთვის იყო პოლიციის სამაგალითო თანამშრომელი მოქალაქე. აღსანიშნავია მისი თავდადება 2008 წლის რუსეთის აგრესიის დროს. შეიარაღებული მოქმედებების დაწყების დღიდან გიორგი ონიანი სოფელ ზემო არცევის ტერიტორიაზე იარაღით ხელში იცავდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას და საქართველოს სახელმწიფოებრიობის მომავალს.“ განცხადებას ხელს აწერენ: ზვიად კუპრავა, ირაკლი ფირცხალავა, გიგა მაქაცარია, ირაკლი ქადაგიძე, ცირა გვაზავა, შოთა შეყილაძე, ზაზა ქობალია, დავით ყოლბაია, ზურაბ სოსელია, კარინა გრიგორიანი, ირაკლი ჩხვირკია, ლექსო ლიპარტია, ბაჩო ახალაია, ზვიად გაგუა, გიორგი სამუშია, ზაზა ქარდავა, ზაზა ჭაია, თენგიზ ჭაია. აღნიშნულ განცხადებაში ჭიკაიძის „ღვაწლიც“ ხაზგასმულია და ონიანის დამსახურებაც მის დაწინაურებაში. გოგა ონიანს თავდებში 26 დეპუტატი ჩაუდგა, რომლებიც მის გირაოთი გათავისუფლებას ითხოვდნენ. ზონდერი, იმასაც ამბობდა, რომ შვილები სკოლაში დაყავდა და ამიტომ იგი არ უნდა დაეკავებიათ, თითქოს მათ მიერ, უდანაშაულოდ დაპატიმრებული ხალხის შვილები სკოლაში და საბავშო ბაღში არ დადიოდნენ და თან პლასტმასის იყვნენ, მოკლედ, აღმკვეთ ღონისძიებად 2014-წელს იგი 20000-იანი გირაოთი გაათავისუფლეს და სამართალი ურმით კიდევ მიადგა ერთი კვირის წინ და ონიანი სასამართლო დარბაზში დააკავეს. თუმცა როგორც გავრცელებული დოკუმენტური ვიდეო მასალით ირკვევა აღნიშნულს არც თვითონ და არც მისი ოჯახის წევრები და „თანამოაზრეები“ ელოდნენ, „ზონდერის“ დაკავება „ძალზედ მტკინვეულად“მიიღეს და ცილისწამების ცუნამი დაატრიალეს ხელისუფლების მისამართით. კრიმინალური წარსულის და აწმყოს „ნაცსახემ“ უტყუარ მტკიცებულებებს ფაბრიკაცია უწოდა მოწმეების ზეწოლაზე და ცრუ ჩვენებებზეც გაურკვევლად „იყუყუნა“, არადა უამრავი დაპატიმრებულის სისხლის სამართლის საქმე, მხოლოდ შსს თანამშრომლის ჩვენებით ჰქონდათ „გამყარებული.“ არცთუ დიდი ხნის წინ ონიანი ამბობდა - „თუ ვინმე ერთ რამეს მაინც მანახებს, სადაც ერთ გადაცდომას მაინც ჩავდივარ არა თუ ადვოკატს ავიყვან, მეც არ დავიცავ საკუთარ თავს,“ერთიც ანახეს და ათიც. სოციალურ ქსელში უხვად მოიპოვება მშვიდობიანი პროტესტის მონაწილეების დარბევის არაერთი ფოტო და ვიდეო

მასალა. „სამოქალაქო პრესამ“ 2012 წლის 10 მაისს გოგა ონიანის ხელმძღვანელობით მშვიდობიანი აქტივისტების უკანონოდ დაკავების ამსახველი კადრები მოიპოვა და გაავრცელა. საქმე ეხება კიკვიძის პარკში გამართულ მშვიდობიან საპროტესტო აქციას, სადაც აქციის მონაწილეები გამწვანებული ზონის განადგურებას და ხის მოჭრის პროცესს აპროტესტებდნენ. კადრებში ჩანს თუ როგორ გასცემდა ბრძანებას გოგა ონიანი მშვიდობიანი აქციის მონაწილეების დაკავებასთან დაკავშირებით. ამ პერიოდში გოგა ონიანი შსს-ს ერთ-ერთ მაღალ თანამდებობას იკავებდა.

ასევე დევნილების დარბევა და სხვა უკანონო დარბევები რომლის დროსაც ადამიანებს ზონდერები არაადამიანურად, კანონის უხეში დარღვევით ფიზიკურად უსწორდებოდნენ. რაც შეეხება პოლიტიკურ ანგარისსწორებას, აი ერთ-ერთი დაზარალებულის ჩვენება, რომელსაც ვერანაირად დაარქმევს მავანი ზეწოლით მიღებულს-''ერთ-ერთი პირველი ადამიანი ვიყავი, რომელმაც “ქართული ოცნების'' მაისურების დარიგება დაიწყო. როგორც კი, დავიწყე ბიჭების შეკრება, მეორე დღეს სადარბაზოსთან დამხვდა პირადად გოგა ონიანი, თანმხლებ პირებთან ერთად, ჩამსვა მანქანაში და ისე, რომ არ განუმარტავს რის საფუძველზე დამაკავა, გლდანისკენ წავიდა და გზაში დამიწყო დაკითხვა. აინტერესებდა სად ვიყავი წინა დღით და ა.შ. მითხრა რომ ბრალდებული ვარ სახელმწიფო ღალატში, იმიტომ რომ ვარიგებდი “ქართული ოცნების'' მაისურებს და ვიყავი ბერას მეგობარი. როდესაც მივედით გლდანი-ნაძალადევის განყოფილებაში, იქ გააგრძელა ჩემი დაკითხვა ონიანმა და ბოლოს შემომთავაზა “თანამშრომლობა''. მემუქრებოდა, რომ თუ “ნაციონალურ მოძრაობასთან'' არ ვითანამშრომლებდი მომისჯიდა 6 წელს. ახლა მას დაუბრუნდა თითქმის 6 წელი... ადამიანის ცუდი არ მიხარია, მაგრამ როგორც იქნა სამართალმა პური ჭამა... გოგა ონიანს ბევრი ოჯახი ჰყავს გამწარებული“ აი ასეთი „ევროპული. სამართალი“მოსწონდათ ნაცზონდერებს. ონიანის დაკავება მიშას ყურადღების მიღმა არ დარჩენილა, მან „რუსთავი-2-თან“საუბრისას ბრძანა -„დღეს მე აღშფოთებული ვარ, რომ გოგა ონიანი ჩასვეს. ეს სულმდაბალი, ავადმყოფური საქციელია, ძალიან ბოღმიანი და პატარა მასშტაბის ადამიანების. გოგას კრიმინალად გამოცხადება, მართლა ძალიან მაგარი ადვოკატია და ძალიან ბევრ ადამიანს დაეხმარა. მე ვერც წარმომედგინა, რომ ასეთი რაღაც მოხდებოდა.“კლასელების დაპატიმრების „დამკვეთი“და ათასი უბედურების ორგანიზატორი, ფსიქიურად არამდგრადი, ავადმყოფი, რომ ბოღმაზე, სამართალზე, სულმდაბლობაზე დასკვნებს აკეთებს, მინიმუმ უხერხულია... „ნაცხროვა“ ძალაუფლებას მხოლოდ ბოროტების საკეთებლად იყენებდა. მათი ნარჩენები დღესაც გაშმაგებით ცდილობენ აიცდინონ პასუხისმგებლობა. თუმცა, ყველაფერი წინაა, ჯერ კიდევ დაუსჯელი, გარკვეული ზონდერ ჯგუფის მიერ ჩადენილ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს ხანდაზმულობა არა აქვს, დარწმუნებული ვარ, მათ იმედს, რომ სასჯელს გადაურჩებიან, ბზარი ყოველდღე ეპარება და საცაა დაიმსხვრევა.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ენგურჰესის რეაბილიტაციის პროცესი 2019 წელს დაიწყება

3 გვ.

— სამწუხაროდ, ასეა. უსაფრთხოების ზონები პროექტში დადგენილი და განსაზღვრულია, მაგრამ იმის მერე, ბევრი რამ შეიცვალა. მოსახლეობის ცხოვრების დონე ძალიან გაუარესდა, ადამიანებმა თავის გადარჩენის გზების ძიება დაიწყეს და სწორედ ამ უსაფრთხოების ზონებში დასახლდნენ. აქ აშენდა სახლები, განთავსდა სამრეწველო და გადამამუშავებელი ობიექტები და ეს უზარმაზარი პრობლემა 25 წლიანი ანარქიისა და განუკითხაობის შედეგია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დატრიალდა. ამჟამად, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ტექნიკური ღონისძიებებით თუ ფინანსური მხარდაჭერით ამ ამოცანის დამორჩილება გონიერების ფარგლებში შევძლოთ. უახლოეს პერიოდში ასევე დადგება ენგურის წყალსაცავის ლამისგან გაწმენდის საკითხი. (ლამი — წყლის აუზის ფსკერის რბილი ნალექი) სხვათა შორის, ლამი შეიცავს ძვირფას მეტალებს და სამშენებლო მასალას — ჰუმუსოვან ფენას სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის რაც საშუალებას გვაძლევს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვისაც გამოვიყენოთ და შევინარჩუნოთ წყალსაცავის მუშა მოცულობა. ჩვენი ინსტიტუტის შეფასებით, მარტო ენგურის ქვედა ბიეფში (წყალსატევის, მდინარის ან არხის ნაწილი, რომელიც წყალსატბორავ ნაგებობას ეკვრის) დაახლოებით, 5000 ჰექტარზე 30-დან 50 მილიონამდე კუბური მეტრის სამშენებლო მასალა მოიპოვება, რაც სასოფლო სამეურნეო მიზნებით გამოყენების თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას მნიშვნელოვნად წასწევს წინ. თანაც ისე, რომ არც გარემოს დაცვის მოთხოვნებს დავარღვევთ და სასოფლო სამეურნეო სავარგულებსაც ხალხის სამსახურში დავაბრუნებთ. ზემოთ თქმულის მიუხედავად, არ მინდა დავამშვიდო ხელისუფლება და სპეციალისტები, ვინც ენგურთან მიმართებაში საღად აზროვნებს ან ვერა. ყველას მინდა ვუთხრა, რომ ენგურის ექსპლუატაციაში არსებული პრობლემები კანონზომიერად დამდგარი შედეგია, რომელსაც მოგვარება ჭირდება.

თავის დროზე, ჩვენ გადავწყვიტეთ ჰიდროელექტროსადგურის შექმნა, რომელსაც არც ჰიდროტექნიკურ მშენებლობაში და არც თაღოვანი კაშხლების მშენებლობაში ანალოგები არ აქვს. დიახ, ეს გახლავთ უნიკალური ობიექტები, რომლებიც უნიკალურ მოვლას საჭიროებს. რა თქმა უნდა, ამას ჭირდება ფული და დრო, რომელიც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ყოველ 12–15 წელიადში მოხდეს სრულფასოვანი რეაბილიტაცია, 5 წელიადში ერთხელ მოხდეს დათვალიერება და იმ მონაცემების კორექტირება, რომლებსაც ავტომატიზირებული აპარატურისა და სისტემების მეშვეობით ვღებულობთ. ვიმეორებ, ენგურის მართვის პროცესები კონტროლირებადია. ის დღეს სავსებით შეგნებულად და კვალიფიციურად იმართება და ველოდებით, რომ უახლოეს პერიოდში ენგურის გაჯანსაღების მიზნით, სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება. ამ ქვეყანაზე მუდმივი არაფერია, მაგრამ ასეთი მიდგომით, ჩვენ შევძლებთ ენგურჰესის ექსპლუატაცია საუკუნეების განმავლობაში შევინარჩუნოთ.

და ბოლოს, ამიერკავკასიაში უდიდესი ენგურის ჰიდროელექტროსადგური, რომელსაც საქართველოს ენერგეტიკულ ხერხემალსაც უწოდებენ, 1961–1978 წლებში აშენდა. სადგურის შემადგენლობაში შედის უნიკალური თაღოვანი კაშხალი, რომელიც ერთ-ერთი უმაღლესია მსოფლიოში (271,5 მ) სადაწნეო დერივაციული გვირაბი, რომელიც პარამეტრებით უდიდესია ევროპაში და მიწისქვეშა სამანქანო დარბაზი, რომელიც ასევე, ერთ-ერთი უდიდესია ევროპაში. „ენგურჰესის“ ამჟამინდელი საპროექტო სიმძლავრე 1300 მეგავატია, ენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება კი 5 მილიარდ კილოვატსაათს აჭარბებს, რაც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ, საზღვარგარეთის მასშტაბითაც შთამბეჭდავი მაჩვენებელი გახლავთ. 2015 წელს ენგურჰესის თაღოვან კაშხალს ინდუსტრიული მშენებლობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.დაგეგმილია და დაწყებულია კვლევითი სამუშაოები ამ კვანძში ახალი სიმძლავრეების ამოქმედებისაათვის, რომლის შემდეგაც თაღოვან კაშხალთან დამატებითი 1000 მეგავატამდე სიმძლავრის განვითარება იქნება შესაძლებელი, რაც ძირფესვიანად შეცვლის ქვეყანაში ელექტროენერგიის წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურას. შესაძლებელს გახდის მართვისა და სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებას ვადებისა და სეზონურობის ფაქტორით გამოწვეული შეზღუდვების გარეშე.

ნელი თორდია
571 35 36 88

ქრონიკა

რამდენია მეტი – 9 000 თუ 25 000?

ევროკომისიამ შენიშვნა მოგვცა — ბევრი პატიმარი გყავთ და სასურველი იქნება, თუ შეამცირებთო.

საქართველოში დღეს 9 000-მდე ადამიანი იხდის სასჯელს, ხუთი წლის წინათ კი პატიმართა რიცხვი 27 000-ს აღწევდა, თუმცა მაშინ ევროკომისიას ეს კატასტროფულად დიდი ციფრი სულაც არ ებევრებოდა და, აქედან გამომდინარე, არც შენიშვნებს იძლეოდა.

რა გამოდის — ევროკომისიისთვის 9 000 ბევრია და 25 000 ცოტა?

არადა, ნებისმიერი მეორეკლასელი გეტყვის, რომ 25 000 თექვსმეტი ათასით მეტია 9 000-ზე.

ევროკომისიას არც ის გახსენებია, რომ „ნაცმოძრაობის“ დროს 300 000 პრიბაციონერი ჰყავდა ქვეყანას, რაც იმას ნიშნავს, რომ 300 000 მოქალაქეს შეეხო ნაცური „მართლმსაჯულების“ მსახვრალი ხელი.

ევროკავშირი და ევროკომისია თავის დროზე არც იმას აუღელვებია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დროინდელი სასამართლო განაჩენების მხოლოდ 1 პროცენტი დამთავრდა გამამართლებელი შედეგით.

დემოკრატიის, სამართლიანობის, ადამიანის უფლებათა დაცვის უზენაეს ღირებულებებზე მოღაღადე ევროკავშირს დღემდე არ გაუკეთებია არც პოლიტიკური და არც სამართლებრივი შეფასება „ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანი კრიმინალურ-სადისტური რეჟიმის შესახებ, რომელმაც უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, უამრავი ოჯახი გააუბედურა, უამრავი მოქალაქე დააყაჩაღა, გაძარცვა, ცხოვრება დაუნგრია.

ევროკავშირი თვალს ხუჭავს იმაზეც, რომ ამ კრიმინალურ-ფაშისტური რეჟიმის მთავარი შემოქმედი და ავტორი უპასპორტოდ დაშლიგინობს ევროპის ქვეყნებში და რასაც უნდა, იმას აკეთებს.

ევროკავშირის ზოგიერთი წარმომადგენლისთვის ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმარია, კეზერაშვილი პოლიტდევნილი, ხოლო დანარჩენი ნაციონალები, რომლებსაც ლომის წვლილი აქვთ შეტანილი „ნაცმოძრაობის“ შავ-ბნელ საქმეებში, მაგრამ ბოლო ხანებში მშობლიურ პარტიას უგანეს და „ევროპული საქართველო“ დაირქვეს, მამა აბრამის ბატკნები?

ის მაინც ეთქვა ვინმეს ევროკავშირიდან, როგორ ბედავთ, თქვე ავაზაკებო და ევროპის სახელს როგორ ახსენებთო?!

კი, ბატონო, გეთანხმებით, 9 000 პატიმარიც ძალიან ბევრია ამ პატარა ქვეყნისთვის, მაგრამ 25 000 პატიმარი რატომ იყო ცოტა, აი, ამასაა რომ ვკითხულობთ, თუმცა ამ კითხვაზე პასუხის გამცემი არავინ ჩანს და დიდხანს, ალბათ, არც არავინ გამოჩნდება.

ვახტანგ ხარჩილავა:

ზამთარი ჩვენი მღელვარებისა

● არსებობს თუ არა სახელმწიფო გადატრიალების სცენარი და რა პოლიტიკური ძალები აპირებენ მის განხორციელებას?

● „ზამთრის შუა თვეებში გააქტიურდებიან რადიკალური ჯგუფები, რომლებიც სიტუაციის უკიდურესად დაძაბვას და სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებას შეეცდებიან“

ეს ზამთარი, საბედისწეროდ, მძიმე და დრამატული შეიძლება გამოდგეს ჩვენი ქვეყნისთვის.

საქართველოს წინ ძალზე მძიმე და რთული ზამთრის თვეები ელის, რითაც შეიძლება ჩვენმა არაკეთილმოსურნე ძალებმა ისარგებლონ და შექმნილი სიტუაცია თავიანთი ინტერესების განსახორციელებლად გამოიყენონ.

დავიწყოთ იმით, რომ სინოპტიკოსების გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, ზამთრის თვეები მთელ კავკასიაში და მათ შორის, საქართველოშიც უჩვეულოდ მკაცრი და ცივი იქნება.

საქართველოში ტემპერატურა, შესაძლებელია, მინუს 20 გრადუსამდეც კი დაეცეს, რაც, ცხადია, უმძიმეს პრობლემებს შეუქმნის პრობლემებით ისედაც დამძიმებულ ჩვენს მოსახლეობას, რომელიც სრულიად გასაგები მიზეზების გამო, სათანადოდ მომზადებული არ არის ამ მძიმე კლიმატური პირობების გასამკლავებლად.

მოგეხსენებათ, ელექტროენერგიის ღირებულება საგრძნობლად გაიზარდა, მკვეთრად გაიზარდა გაზის ტარიფიც.

არადა, ზამთრის თვეებში ელექტროენერგიაზე და გაზზე მოთხოვნილება თითქმის სამმაგდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობას ამ გასამმაგებული დანახარჯის საფასურის გადახდა გასამმაგებულად მოუწევს, ეს კი ძალზე რთულად გადასაწყვეტი ამოცანაა, მით უმეტეს, მაშინ, როცა ლარი უფასურდება, რაც ავტომატურად იწვევს ფასების ზრდას პროდუქტებზე, მედიკამენტებზე, და, საერთოდ, ყველაფერზე, რასაც ადამიანი მოიხმარს.

გაძვირებული დენი, გაძვირებული გაზი, გაძვირებული საკვები პროდუქტები, გაძვირებული მედიკამენტები — კი, მაგრამ, რამდენს შეიძლება გასწვდეს თუნდაც საშუალო ხელფასის მქონე მოქალაქე ამ გაუფასურებული და მსყიდველობითუნარდაკარგული ლარის პირობებში?

საქართველოში მილიონ ორასი ათასი ადამიანი სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს, ამას თუ იმ ადამიანთა რაოდენობაც დაემატება, რომლებსაც დღესდღეობით, მცირე, მაგრამ, ასე ვთქვათ, მაინც სტაბილური შემოსავალი აქვთ, მაგრამ შექმნილი სიტუაციის გამო შეიძლება ისინიც მომენტალურად გაღარიბდნენ,. მივიღებთ მოსახლეობის კატასტროფულად დიდ რაოდენობას.

ჯერჯერობით მწვავედ არ იგრძნობა იმ დარტყმის სიმძიმე, რომელიც აზიური ფაროსანას შემოსევამ დასავლეთ საქართველოს მიაყენა, მაგრამ მცირე ხანში ამ დარტყმის უმძიმესი შედეგებიც აუცილებლად იჩენს თავს.

აი, ასეთია მდგომარეობა, რომელიც ახლო ხანებში შეიძლება საქართველოში შეიქმნას.

ძალზე პირქუში და არასასიამოვნო სურათი დაიხატა, თუმცა ამ არასახარბიელო სურათის შეფერადება-გადაკეთებას, ალბათ, მაინც ის სჯობს, რეალობას თვალებში ჩავხედოთ, რაც საშუალებას მოგვცემს მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად პრევენციული ზომები მივიღოთ.

ლოგიკა გვიკარნახებს, ვივარაუდოთ, რომ ამ მძიმე სოციალური ფონით აუცილებლად შეეცდებიან ისარგებლონ გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა და რადიკალურმა ჯგუფებმა, რომლებიც, არ არის გამორიცხული, საქართველოს გარედან იმართებოდნენ და გარკვეულ ინსტრუქციებს ასრულებდნენ.

უკვე დადის ხმები იმის შესახებ, რომ ამ პოლიტიკურ ძალებსა და რადიკალურად განწყობილ დაჯგუფებებს შორის ინტენსიური მოლაპარაკებები მიდის გაერთიანების და ერთ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბების შესახებ.

თუ ეს მოხერხდა, ეს იქნება საკმაოდ ძლიერი და ანგარიშგასაწევი ძალა, რომელიც შექმნილი მდგომარეობის მთავარ მიზეზად ქვეყნის მიერ აღებულ პროდასავლურ კურსს დაასახელებს და ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვექტორების შეცვლას მოითხოვს, რასაც შეიძლება მოსახლეობაში ძალიან ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდეს.

არ არის დასამალი ის ფაქტი, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სკეპტიკურად არის განწყობილი საქართველოს მიერ აღებული პროდასავლური კურსის მიმართ, რომელმაც, მათი აზრით, ვერანაირი რეალური სიკეთე ვერ მოუტანა საქართველოს ვერც ეკონომიკის განვითარების და გაძლიერების კუთხით, ვერც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით.

რამდენად სწორი და რეალურია ეს მოსაზრებები, ამის კვლევა და დადგენა ამ წერილის ფარგლებში, ცხადია, შეუძლებელია და ეს არც წარმოადგენს ჩვენს მიზანს, უბრალოდ, ამის აღნიშვნა იმისთვის დაგვჭირდა, რომ გვეთქვა: **მოსახლეობის განწყობა სულაც არ არის ერთმნიშვნელოვნად და უპირობოდ პროდასავლური.**

რუსეთი, საქართველოს მოქალაქეთა გარკვეული ფენებისთვის, ჯერჯერობით, კვლავ რჩება ნატოსა და დასავლეთის ალტერნატივად, რომელთან პირისპირ დიალოგის შემთხვევაში, შესაძლებელია მასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება და მრავალი პრობლემის მოგვარება, მათ შორის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც.

ასე რომ, რუსული ხიბლი საქართველოში ჯერ კიდევ არ გახუნებულა.

სწორედ რუსულ ფაქტორზე იქნება გაკეთებული აქცენტები ზემოთნახსენები პოლიტიკური გაერთიანების თუ კოალიციის მიერ, რომელიც სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის განწყობის რადიკალიზაციას შეეცდება და, თუ საჭირო გახდება, არც დესტაბილიზაციის პროვოცირებას მოერიდება.

ჩვენ, რატომღაც, ხშირად გვავიწყდება, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მხრიდან რუსეთის სამხედრო შენაერთების ალყაში ვართ, რომლებსაც, თუ მოინდომებენ, სულ რამდენიმე საათში შეუძლიათ კონტროლი დაამყარონ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

მრავალჯერ თქმულა, რომ რუსეთი ვერ შეეგუება საქართველოზე კონტროლის დაკარგვას, ვერ შეეგუება საქართველოს ნატოში გაწევრიანებას, რადგან ეს მისთვის რუსული სახელმწიფოს რღვევის დასაწყისი შეიძლება გახდეს.

ის ელოდება ხელსაყრელ მომენტს, ხელსაყრელ სიტუაციას და არა მარტო ელოდება, არამედ თვითონაც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დააჩქაროს სიტუაცია, როცა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი კატეგორიულ უარს იტყვის დასავლურ ორიენტაციაზე და მხსნელად და მშველელად რუსეთს დაუძახებს.

აი, ეს სიტუაცია შეიძლება სწორედ ამ ზამთარს დადგეს...

სამწუხაროდ, ყველა წინაპირობა არსებობს იმისთვის, რომ ეს საგანგაშო პროგნოზი გამართლდეს.

რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების აღდგენის წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ე.წ. მეხუთე კოლონის ფარული მოქმედებებისა.

ფაქტობრივად, ეს არის აგენტურა, რომელიც ხან ეროვნულ-ნაციონალური, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ პროდასავლური ნიღბითაც არის შეფუთულ-შენიღბული.

აგენტურა ვერ გამოდგება ქვეყნის მხსნელად და გადამრჩენელად, რადგან აგენტურა ყოველთვის იმ სახელმწიფოს სასარგებლოდ მოქმედებს, რომელმაც ის დაიქირავა.

ჩვენი მიზანი ნამდვილად არ არის, რომ ვინმე დავაშინოთ, ხალხში პანიკა და უიმედობა დავთესოთ.

ჩვენი მიზანია, თვალი გავუსწოროთ მკაცრ რეალობას, ნათლად დავინახოთ მოსალოდნელი საფრთხეები, რომ ყველა შესაძლებლობა იქნას გამოყენებული ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს ხელისუფლებამ დღესვე, დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ანტიკრიზისული გეგმის შემუშავება და მოვლენათა ესკალაციას კი არ უნდა დაელოდოს, არამედ ოპერატიულად მიიღოს პრევენციული ზომები.

საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას აქვს ერთი დადებითი მახასიათებელი — ის კრიტიკულ სიტუაციებში შესაშურ ოპერატიულობას იჩენს და ძალთა მაქსიმალურ მობილიზებას ახდენს ამა თუ იმ პრობლემის გადასაწყვეტად.

გავიხსენოთ თუნდაც ზაფხულის თვეები, როცა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში ერთმანეთის მიყოლებით ჩნდებოდა ხანძრის კერები, მაგრამ ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, მინიმალური რესურსებით, მოახერხა ამ მასშტაბური საფრთხის შეჩერება.

მართალია, „ნაცმოძრაობა“ უნიათოს და უსუსურს ეძახის „ქართულ ოცნებას“, მაგრამ ამ „უნიათო“ და „უსუსურმა“ „ქართულმა ოცნებამ“ მარტივ მამრავლებად დაშალა თვით „ნაციონალური მოძრაობა“ და როგორც საპარლამენტო, ასევე თვითმმართველობის არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვა.

ასე რომ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ნამდვილად აქვს ის პოტენციალი, ის შინაგანი ენერგია, რომლითაც მას სერიოზული პრობლემების დაძლევა შეუძლია.

როგორც ზემოთ ვთქვით, საჭიროა შემუშავდეს კომპლექსური გეგმა იმ მძიმე სოციალური ფონის შესარბილებლად და შესამსუბუქებლად, რომელიც შეიძლება ქვეყანაში შეიქმნას.

ამ გეგმის უმთავრესი და უპირ-



ველესი ამოცანა ლარის კურსის დასტაბილურება უნდა იყოს, რაც შეუძლებელია ეროვნული ბანკის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკის პირობებში.

პირდაპირ და გახსნილად უნდა ითქვას — ეროვნული ბანკის მუშაობა, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, მთავრობის მხრიდან სერიოზული შესწავლის საგანი უნდა გახდეს.

სპეციალისტების აზრით, ლარის კურსთან დაკავშირებული კატასტროფული მდგომარეობა ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის ფარული გარიგებებისა და დანაშაულებრივი მაქინაციების შედეგია.

ზოგიერთი ექსპერტი უფრო შორს მიდის და ლარის ე.წ. „მცურავ კურსს“ აფიორას უწოდებს, რომლითაც ვიღაც-ვიღაცები ჰაერიდან მილიონებს აკეთებენ.

ასეა თუ ისეა, ფაქტია, რომ არაპროგნოზირებადი, არასტაბილური ლარი ანგრევს ეკონომიკას, უკიდურესად აღარიბებს ისედაც გაღარიბებულ მოსახლეობას და, რაც უმთავრესია, პროვოცირებას უკეთებს და კიდევ უფრო ძაბავს პროტესტისა და უკმაყოფილების განწყობას მოსახლეობაში.

საბოლოო ჯამში, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ქართულ სახელმწიფოს ტანკებით და ქვემეხებით დაანგრევს გარედან მოსული მტერი თუ ლარზე მანიპულაციებით დაანგრევენ ეროვნული ბანკი და კომერციული ბანკები.

ყველაფერს აქვს ფინალი და ფინალი აქვს იმ დრამატულ ამბავსაც, რაც ლართან დაკავშირებით ხდება.

საქართველოს მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ამ ფინალს ქართული სახელმწიფოებრიობა არ შეეწიროს.

არსებობს თუ არა რესურსები იმ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, რომლებზეც საუბრის დასაწყისში ვლაპარაკობდით?

რა თქმა უნდა,. არსებობს, ოღონდ ამ რესურსების ასამოქმედებლად, პირველ რიგში, აუცილებელია პოლიტიკური ნება და კიდევ იმის გაცნობიერება, რომ ყველანაირი ძალაუფლება, თუნდაც ფულით, ძალოვანი სტრუქტურებით, სხვადასხვა უწყებებით და ინსტანციებით გამაგრებული და გამყარებული, არამდგრადი და არამყარია, თუ ის ხალხის მხარდაჭერას არ ეყრდნობა.

სახელმწიფო არ შეიძლება იმისთვის არსებობდეს მხოლოდ, რომ მისმა ბიუროკრატიამ და ჩინოვნიკებმა მაძღრად და მსუყედ იცხოვრონ.

არ შეიძლება ნორმალური ერქვას იმ მდგომარეობას, როცა პენსიონერს 180 ლარი აქვს პენსია, ხოლო რომელიმე ჩინოვნიკს 30-ჯერ, 40-ჯერ მეტი ხელფასი და ხელფასზე კიდევ დანამატი აქვს.

ეს არასწორია, ეს დისკრიმინაციულია, ეს არასამართლიანია.

სწორედ ამგვარი მიდგომა აჩენს უფსკრულს მოსახლეობასა და იმ ხელისუფლებას შორის, რომელსაც ან არ სურს, ან ვერ ახერხებს დაიცვას სოციალური სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპი.

შეცდომაა, თუ ვინმე ფიქრობს, რომ მოიხსნა და არ მოქმედებს ფორმულა **„პროლეტარიატი კაპიტალიზმის მესაფლავეა“**.

სამწუხაროდ, საგანგაშოდ იზრდება ქართული პროლეტარიატის რიცხვი.

ნუ ვაიძულებთ მათ, მაინცდამაინც ბარი და ნიჩაბი აიღონ ხელში და „ექსპლუატატორებისთვის“ საფლავის თხრა დაიწყონ.

დაბოლოს, ტყუილად ჰგონია ვინმეს, რომ, რადგან ფული და სიმდიდრე აქვს, უვნებლად და დაუზიანებლად გადაურჩება ამ კატაკლიზმებს.

ჩვენ ან ყველა ერთად გადავრჩებით, ან ყველა ერთად დავმარცხდებით.

მინაწერი:

ეს ინტერვიუ გასულ კვირას ჩაიწერა, ხოლო ორშაბათს, უაღრესად მნიშვნელოვანი საკადრო და სტრუქტურული ცვლილებები მოხდა მთავრობაში.

გვინდა გვჯეროდეს, ეს ცვლილებები სწორედ იმ საფრთხეების პრევენციის მიზნით განხორციელდა, რომლებზეც ამ წერილშია საუბარი.

ისიც გვინდა გვჯეროდეს, რომ ეს ცვლილებები ახალი ხედვების, ახალი კონცეფციების და პრობლემებისადმი ახლებური მიდგომების საფუძველი გახდება.

ტრამპის დიდი მოგზაურობა და სიიდან ამოშლილი საქართველო

მსოფლიო პოლიტიკური საზოგადოების ისეთი ინტერესი ვიეტნამისადმი„ როგორიც გასულ კვირას იყო, იქ წარმოებული ომის შემდეგ, რომელიც გასული საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში მიმდინარეობდა, აღარ ყოფილა. ამის მიზეზი აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების ეკონომიკური სამიტი გახლდათ, რომელსაც ვიეტნამი მასპინძლობდა. მსგავსი ფორუმები ყოველწლიურად იმართება, მაგრამ ამჯერად ინტერესს იწვევდა ის გარემოება, რომ ფორუმს დაესწრებოდნენ აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტები. სწორედ დონალდ ტრამპმა განაცხადა წინასწარ სამიტის ფარგლებში ვლადიმირ პუტინთან შეხვედრის შესახებ. ამასთან, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ იმედი აქვს, რუსეთის მხარე დაეხმარება ჩრდილოეთ კორეის საკითხის მოგვარებაში.

ტრამპი და პუტინი სამიტის მანძილზე რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს და ისაუბრეს კიდეც. პირველი დღის ბოლოს ტრადიციული სურათის გადაღებისას ტრამპი თავად მივიდა პუტინთან, მიესალმა, მის გვერდით დადგა და რაღაც თემაზე ისაუბრეს. მეორე დღესაც, როდესაც სურათის გადასაღებად მიდიოდნენ, გაცხოველებით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს თარჯიმანის გარეშე. ექსპერტების ვარაუდით, თარჯიმნები იმიტომ არ ჩართეს დიალოგში, ორივე მხარე, განსაკუთრებით ტრამპი, მოერიდა ინფორმაციის გაჟონვასო. ოფიციალური არა, მაგრამ, როგორც ჩანს, „საიდუმლო სეროობა“ მაინც შედგა ორ პრეზიდენტს შორის. პოლიტოლოგები იმასაც ვარაუდობენ, რომ ტრამპის მოწინააღმდეგეები ამ გარემოებასაც კუდს გამოაბამენ — რატომ ჰქონდათ საიდუმლო საუბარიო.

სამიტის შემდეგ ბრიფინგზე პუტინმა განაცხადა, რომ ტრამპს კულუარებში სამჯერ შეხვდა და საუბრები ხანგრძლივი იყო. ოფიციალურად არშეხვედრის მიზეზად დროის სიმცირე დაასახელა. ბრიფინგზე პუტინს სთხოვეს ტრამპის დახასიათება. „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს კარგად არ ვიცნობ, მაგრამ იგი უაღრესად კორექტული ადამიანია“, — უპასუხა რუსეთის პრეზიდენტმა.

ჩინეთს დონალდ ტრამპი ჯერ კიდევ შარშან არა მარტო კონკურენტ, არამედ მტრულ ქვეყნად განიხილავდა. თუმცა გაპრეზიდენტების შემდეგ რიტორიკა შეცვალა. ახლა ჩინეთში ვიზიტის დროს აშშ-მა 250-მილიარდიანი სავაჭრო ხელშეკრულება გააფორმა მასპინძელ ქვეყანასთან. ტრამპი ჩინეთის მიმართ თბილად საუბრობდა. ისიც აღიარა, რომ ჩინეთს ადვილად შეუძლია მოაგვაროს ჩრდილო კორეის პრობლემაო. ექსპერტები იმასაც ვარაუდობდნენ, რომ გაფორმებული ხელშეკრულება რუსეთ-ჩინეთის პროექტების ნაწილს ხელს შეუშლის. თუმცა ვიეტნამში რიტორიკა შეცვალა. „რეგიონის მომავალი არ უნდა იყოს დამოკიდებული რომელიმე დიქტატორის ფანტაზიაზე, რომელიც ბირთვული იარაღით აშანტაჟებს სამყაროს...“ — განაცხადა მან თავის გამოსვლაში.

ამასობაში აშშ-ში ახალი სკანდალი აგორდა. „ვოისტრ ჟურნალის“ ცნობით, ტრამპის ყოფილი მრჩეველი ნაციონალურ საკითხებში მაიკლ ფლინი ანკარასთან ფარულ კავშირში დაადანაშაულეს. როგორც გამოცემა იუწყება, ფლინი უნდა დახმარებოდა თურქეთის მხარეს გიულენის (რომელიც თურქეთის მხარის მიერ ეჭვმიტანილია შარშანდელ არშემდგარ სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზებაში) ფაქტობრივ მიტაცებაში და თურქეთში მისი ექსტრადირებისთვის. ამისთვის ფლინი გასამრჯელოდ 15 მილიონ დოლარს მიიღებდაო, — იუწყება გამოცემა. ცნობილი გახდა, რომ ინფორმაციას აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიურო სწავლობს და საქმეზე უკვე დაიკითხა რამდენიმე პიროვნება.

კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა, რომელიც გასულ კვირას მოხდა აშშ-ში. ბარაკ ობამას სურვილი ჰქონდა, ჩიკაგოს სასამართლოში ემუშავა მოსამართლედ. იგი თანახმა იყო დღეში 17 დოლარად ემუშავა. თუმცა მისი სურვილი სურვილად დარჩა და მოსამართლეობაზე უარი უთხრეს. მას ვერც იურისტის დიპლომმა უშველა და კვლავ პენსიონერად რჩება.

საქართველოსთვის საინტერესო და დამაფიქრებელი მოვლენა, რომელიც აშშ-ში განვითარდა, გახლავთ მათი ქვეყნის ახალი, 2018 წლის ბიუჯეტის მიღება. რუსეთის ფაქტორის შესაჩერებლად აშშ-ი 4,5 მლრდ დოლარს გამოყოფს. აქედან 370 მლნ უკრაინისთვის არის განსაზღვრული ახალი შეიარაღების შესაძენად. საქართველო ამ ჩამონათვალში არ არის. საინტერესოა, ნეტავ, რატომ? იმის გამო ხომ არა, რომ ჩვენმა ქვეყანამ საერთაშორისო სარბიელზე ავტორიტეტი თუ მნიშვნელობა დაკარგა, ან სულაც, უკვე აღარავის ვაინტერესებთ? კითხვები, იცოცხლეთ, უფრო მეტია, ვიდრე პასუხი, მაგრამ ვინ გვეტყვის სიმართლეს, ვინ დაგვაბრუნებს რეალობაში — ეს გახლავთ მთავარი საკითხი. ამასობაში კი დრო გადის, ვითარებაც ჩვენთვის უარესობისკენ იცვლება, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის, სამწუხაროდ, უკვე აღარავინ ფიქრობს — არც შინაური და არც უცხოელი.

გია ბურდული
551 71 27 07

თბილისი – „პრობკაში" გაჭედილი ქალაქი



როგორ უნდა განიტვირთოს დედაქალაქი ქრონიკული „საცობებიდან", რაც საწვავის და დროის უაზრო ფლანგვის გარდა, რაც ყველაზე მტკივნეულია, მავნე გამონაბოლქვით აბინძურებს ჰაერს, გვესაუბრებიან საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ექსპერტი **ვასო რჩეულიშვილი** და ავტომობილების ინსპექტირების ორგანოების ასოციაციის თავმჯდომარე **ვაჟა იორდანიშვილი**.

— **მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, თბილისში მას შემდეგ იმატა „საცობებმა", რაც აზერბაიჯანმა აკრძალა საქართველოდან ავტომანქანების რეექსპორტი.**

— **ვაჟა იორდანიშვილი**: აზერბაიჯანმა რეექსპორტი კი არ აკრძალა, უბრალოდ ავტომობილის წლოვანებაზე დააწესა ზღვარი, ძველ ავტომანქანას იქ ვერ გაყიდი. ქართველ იმპორტიორებს იმ მიზნითაც შემოყავდათ ავტომობილები, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთში გაყიდდნენ, რახან იქ შეიზღუდა დაწესებულ ზღვარზე მეტი ხნოვანების ავტომანქანების რეექსპორტი, ცხადია, ეს ნაკადი აქ დარჩა. ეს ხალხი სამომავლოდ აღარ შემოიყვანს ძველი ავტომანქანების დიდ რაოდენობას. ძალიან კარგი იქნება თუ ჩვენთანაც დაწესდება მსგავსი რეგულაცია, რომ აღარ შემოვიდეს ძველი, გაუმართავი ავტოტრანსპორტი, რომლითაც გაჯერებულია ჩვენი ავტოპარკი. ამ ქაოსს გარკვეულწილად ალბათ იმანაც შეუწყო ხელი, რომ აღარ იყო სავალდებულო ავტომანქანების ყოველწლიური ტექნიკური შემოწმება. მომავალი წლიდან იწყება ავტომანქანების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება, ტესტირება, რაც თვისობრივად განსხვავდება მანამდე არსებული ტექდათვალიერებისგან, რომელიც ფაქტობრივად მხოლოდ გარეგნულ დათვალიერებას გულისხმობდა. ავტომობილი შემოწმდება იმ ტექნიკური რეგლამენტით, რომელიც უკვე შემუშავებულია, შესაბამისად გაიცემა დამადასტურებელი ოქმი ვარგისია თუ არა კონკრეტული ავტომობილი უსაფრთხო მოძრაობისთვის. ავტოტრანსპორტის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება აუცილებელიცაა, რადგან ეს ყველაფერი დაკავშირებულია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასთან, საგზაო მოძრაობის მთავარი შემადგენელი ნაწილი ავტომობილია, თუ მისი ვარგისიანობა არ შემოწმდა, მუდმივად გვექნება ის შედეგი, რაც დღეს გვაქვს. შსს-ს გასული წლის სტატისტიკით, ავტოპარკის 91% 10 და მეტი ხნოვანების ავტოტრანსპორტია, აქედან ნახევარი 20 და მეტი წლისაა. გარდა იმისა, რომ ეს მოძველებული ავტოტრანსპორტი ავტოავარიების საფრთხეს ქმნის, გარემოსაც მნიშვნელოვნად აბინძურებს. ყველა კვლევით დასტურდება, რომ საქართველოში ჰაერის დაბინძურების 70%-ზე მეტი, ავტოტრანსპორტზე მოდის. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კვლევის პირველადი მონაცემების მიხედვით, ლეტალური შედეგით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო, ჰაერის დაბინძურების გამო, ყოველ 100.000 კაცზე 300 გარდაცვლილია. საგზაო შემთხვევების 20% და მეტიც, გაუმართავი ავტომანქანების მიზეზით არის მომხდარი, გასულ წელს ავტოავარიის შედეგად 600 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო 10.000 დაშავდა. 600 ადამიანი საქართველოს ერთი სოფელია, აქედან გაუმართავი ავტოტრანსპორტის მიზეზით 120 ადამიანია გარდაცვლილი.

— **ბატონო ვაჟა, ტექნიკური ინსპექტირება ყველა ნორმის დაცვით რომ ჩატარდეს, ქვეყნის ავტოპარკის მნიშვნელოვანი ნაწილი ალბათ გაჩერდება.**

— ავტოტრანსპორტის ტესტირების მოტივაცია არ არის ავტოპარკის გაჩერებაა, მისი უპირველესი მიზანი ავტოტრანსპორტის ტექნიკურად მოწესრიგებაა, რისთვისაც მძღოლმა ფინანსური და ფიზიკური რესურსების მობილიზება უნდა მოახდინოს. სამომავლოდ ინფორმაციები გამოქვეყნდება რა შემოწმებებს გაივლიან ავტომანქანები, ნორმების დაკმაყოფილება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. ცნობილი თემაა, რომ ბევრ ავტომანქანას არ აქვს კატალიზატორი, სავარაუდოდ, ჯერ არ მიექცევა ამას ყურადღება, მაგრამ გამონაბოლქვი არ უნდა იყოს ძალზე მომწამლავი, მერე თანდათან გამკაცრდება მოთხოვნები. რაც შეეხება თავად კატალიზატორს, ეს დამატებითი მოწყობილობაა გამონაბოლქვის სისტემაზე, რომელიც მავნე აირების ატმოსფეროში გამოფრქვევას ხელს უშლის, იგი საწვავის არასრული წვის შედეგად გამოყოფილ მავნე აირებს წვავს და შედარებით უვნებელი აირები გადის ჰაერში. ასე რომ, კატალიზატორს მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს. აქვე უნდა ითქვას, რომ თუ ავტომანქანას მოწესრიგებული აქვს შიდა წვის ძრავი, შეიძლება გამონაბოლქვი დასაშვებ ნორმებში ჩაჯდეს და არ იყოს ადამიანისთვის მომწამვლელი. არის შემთხვევები, როცა ავტოიმპორტიორები თვითონვე ხსნიან კატალიზატორს გაყიდვამდე ავტომანქანას, რადგან ესეც დამატებითი შემოსავლის წყაროა, ეს მოწყობილობა ფერადი ლითონისგანაა დამზადებული და ჯართში აბარებენ, მისი ფასი 100 ლარის ფარგლებშია. სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას უხარისხო საწვავის იმპორტი და რეალიზაცია, მის ხელშია ადმინისტრირება. პერმანენტულად უნდა მოწმდებოდეს ლაბორატორიებში საწვავის ხარისხი, გარემოს დაცვის სამინისტრომ აუცილებლად უნდა გააააქტიუროს ამ კუთხით მუშაობა. როცა სერთიფიკატის გამცემიც და შემმოწმებელიც ერთი და იგივე ორგანიზაციაა, შეიძლება გარკვეული კითხვები ჩნდებოდეს, ამიტომ მნიშვნელოვანია საწვავის ხარისხის კონტროლი, საჭიროა დაემატოს სხვა მაკონტროლებელი რგოლი. აბსურდია იმის თქმა, რომ შეიძლება ქვეყანაში კარგი საწვავი შემოდის და მერე ადგილზე „აფუჭებენ", ადგილზე ვერაფერს გადაურევენ, თუ უხარისხო არ შემოვა.

— **დავუბრუნდეთ ქრონიკული „საცობების" საკითხს, თქვენი აზრით, როგორ შეიძლება ეს პრობლემა მოგვარდეს?**



— ჩვენ პირველ რიგში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მაქსიმალურ ხელშეწყობაზე, განვითარებასა და კომფორტზე უნდა ვიზრუნოთ. მოსახლეობა რომ დაინახავს ამ ტრანსპორტით გაცილებით კომფორტულად გადაადგილდება, ავტობუსები ზუსტად გრაფიკის მიხედვით მოძრაობენ, აღარ გაუჩნდებათ სურვილი კერძო მსუბუქი ავტომანქანით იმოძრაონ და შესაბამისად ქალაქის ქუჩებიც განიტვირთება. ამიტომაა აუცილებელი დამატებით ახალი დიდი ტევადობის ავტობუსების შემოყვანა, რომელთათვისაც სპეციალური ზოლები უნდა გამოიყოს, სადაც სხვა ტრანსპორტი ვერ იმოძრავებს. დედაქალაქი და საერთოდ ქვეყანა მსუბუქ ავტომობილებზე კი არა, ფეხით მოსიარულეებზე და ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტზე უნდა იყოს მორგებული. მცირეგაბარიტიანი მიკროავტობუსებით, ე.წ. მარშრუტკებით საგარეუბნო რეისებზე და მეტროსადგურებიდან საცხოვრებელ მასივებში უნდა ხდებოდეს მგზავრების გადაყვანა, კარგი იქნება ტრამვაის მოძრაობასაც თუ აღვადგენთ. თბილისში არ არის მაინც და მაინც ვიწრო ქუჩები, რომ დიდი ტევადობის მუნიციპალურ ტრანსპორტს მოძრაობა გაუჭირდეს, ევროპის ქალაქებში გაცილებით ვიწრო ქუჩებია, მაგრამ იქ ნაკლებია ე.წ. საცობები.

ვასო რჩეულიშვილი: მეტრო „დიდუბესთან" და „დინამოს" სტადიონთან მოწყობილ ფართო წრეებზეც მკითხეთ, რომელიც მართლაც მნიშვნელოვნად აფერხებს მოძრაობას. ნაციონალებმა ებრაული ფირმა მოიწვიეს და მათ გააკეთებინეს ეგ პროექტი, ამ ფირმას ექვსი პროექტი ჰქონდა, ადგილობრივმა სპეციალისტებმა მხოლოდ ერთზე ვიმუშავეთ, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზირების გადაკვეთაზე არსებული გზაჯვარედინის მოწესრიგებაზე. მაშინდელი ხელისუფლება მერე თვითონვე ამბობდა, რომ მოწვეულ ფირმას მხოლოდ ეს პროექტი გამოუვიდა, დანარჩენები სისულელეაო. მეტრო „დიდუბესთან" „საცობი" არ იყო, სწორედ ამ „გრანდიოზული" წრით შექმნეს. მაგ მონაკვეთზე შუქნიშნის არსებობა აუცილებელია, რადგან დიღმიდან სანზონისკენ მიმავალ ტრანსპორტს მანამდე არ უჭირდა მოძრაობა, ახლა თორნიკე ერისთავის ქუჩისკენ მოხვევა ძალიან ჭირს, თავად ხსენებულ წრეზე ხომ საშინელება ხდება. იქ არსებული ფეხით მოსიარულეთა ხიდიც ჩემი აზრით, ზედმეტია, რადგან მოუხერხებელია და ხალხი მაინც სავალ ნაწილზე გადადის. ეს ხიდი უნდა მოიხსნას და ძველი მდგომარეობა დაბრუნდეს, წრის რადიუსიც უნდა შემცირდეს და იქ მოძრაობის მოწესრიგება დიდ პრობლემა აღარ იქნება. იგივე შეიძლება ითქვას „დინამოს" სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზეც. კურიოზი ისაა, რომ ხსენებულმა ებრაულმა ფირმამ მაგ მონაკვეთის პროექტი ისე გააკეთა, რომ მოხვევის რადიუსი არ იცოდა. ავტობუსი რომ შევიდა წრეზე, გაიჭედა, მერე იმიტომაც შემცირეს წრის რადიუსი, რომ ავტობუსები ვერ ბრუნდებოდნენ. საუბარი იყო, რომ ტროტუარები გათავისუფლდება ავტომობილებისგან, რაც ძალიან კარგია, თუმცა ზოგ ადგილზე შეიძლება დარჩეს ავტოსადგომი, რადგან ტროტუარი ფართოა და ფეხით მოსიარულეს თავისუფლად შეუძლია იმოძრაოს. რაც შეეხება „მარშრუტკებს", ვფიქრობ, როგორც ადრე იყო, ძირითადად მეტროს ბოლო სადგურებიდან უნდა იმოძრაონ საცხოვრებელ მასივებში, თორემ ნებისმიერ გამზირს რომ გახედო, ამ ყვითელი ზოლითაა გაჭედილი მოძრაობა.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

სატანის მთავარი სამიზნე

ღვთის გაჩენილი და ღვთის ხატის – ადამიანის სულიერი და ხორციელი დაცემა, მისი განადგურება სატანის ყველაზე დიდი სურვილია, რათა თქვას: მე პირუტყვად ვაქციე ადამიანი, ტალახში დავაგდე, სული წავართვი და უჯრედებიანად გავანადგურეო.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ადამიანის დაცემის უამრავი ისტორია არსებობს.

გასული საუკუნის ცნობილი მეცნიერის და ფსიქოლოგის ფილიპ ზიმბარდოს თეორიის თანახმად, ნებისმიერი ადამიანის სულში ჩაბუდებული მხეცის გამოსაღვიძებლად სავსებით საკმარისია მისთვის სრული და უკონტროლო ძალაუფლების მინიჭება.

ამ თეორიას ეფუძნება გაუკუღმართებული სექსუალური ურთიერთობების მხარდამჭერთა განცხადებები და მოთხოვნები.

ყველაფერი უფრო შორიდან იწყება, მაგრამ უახლეს ისტორიას რომ გადავხედოთ, ბევრი რამე ნათელი გახდება.

1966 წელს, 30 აპრილს, სანფრანცისკოში, ვინმე ანტონი შანდორ ლევეის დაუარსებია სატანისტური ეკლესია. მასვე 1969 წელს დაუწერია სატანისტური ბიბლია.

დღეს ამ ეკლესიის ცენტრალური ოფისი მდებარეობს ნიუიორკში. ეკლესიის მესვეურებს აქვთ ოფიციალური ჟურნალი «The Black Flame».

სატანისტური ეკლესია ოფიციალურად დარეგისტრირებულია ამერიკაში, იცავს ამერიკის კანონმდებლობა და გააჩნია თავისი მთავარი კაპელანი აშშ სამხედრო ძალებში.

ეკლესია თურმე 1990 წლამდე სარგებლობდა საგადასახადო შეღავათებით. ამ ეკლესიის ძირითადი აქცენტი არის მატერიალიზმი და ჰედონიზმი და მხარს უჭერს სრულ სექსუალურ თავისუფლებას.

როგორც ცნობილი გახდა, ამ ეკლესიის წევრებმა უნდა გაიზიარონ 9 დებულება:

1. ყველაფრის უფლება
2. ცხოველური ყოფა
3. შურისძიება
4. ადამიანის ცხოველური ბუნების გაფართოება
5. ყველა ცოდვის ჩვეულებრივად მიღება
6. პასუხისგება მხოლოდ უშუალო უფროსების მიმართ
7. კეთილგანწყობა მხოლოდ მათ მიმართ, ვინც, მათი აზრით, ამას იმსახურებს
8. ეკლესიის საუკეთესო მეგობარია ის, ვინც იყენებს ამ ეკლესიას
9. არაფრით შებოჭილი გონიერება

სატანიზმის იდეა პრიმიტიულია – სატანა ყველაზე მაგარია!

– ყველა თავისი თავის ღმერთია!

– ცხოვრება ძალადობაა!

– მთავარი მტერი-მართლმადიდებლობაა! და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

„ეკლესიის“ ფარული რიტუალებიდან გამოყოფილია მამაკაცების გაუპატიურება და მკვლელობები, როგორც ყველაზე მთავარი და საჭირო რიტუალი.

დასავლეთში ჰყვავის ე.წ. „სატანიზმის იდეა“, რომლის მთელ მსოფლიოში განხორციელებისთვის გამოიყოფა გრანტები.

გრანტები ამ მიმართულებით საქართველოშიც იგზავნება და ისინი შემდეგ საკითხებზე ნაწილდება:

1. „4 ნაბიჯი ლგბტ ადამიანებისთვის“- ბიუჯეტი 28.055 კანადური დოლარი, მხარდამჭერი: კანადის ფონდი. პროექტის მიზანი: ლგბტ ადამიანების საზოგადოებრივი ინტეგრაციის ხელშეწყობა თემის გაძლიერებითა და პოლიტიკის დონეზე მუშაობით.

2. ლგბტ ადამიანების ადვოკატირება - ბიუჯეტი: 100 000 ევრო. დონორი: ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში. პროექტის მიზანია „იდენტობის“ საადვოკატო კამპანიის გაძლიერება კვლევით, მედიაკამპანიითა და საგანმანათლებლო საქმიანობით.

3. „ლგბტ მგრძნობელობის ამაღლება სტუდენტებში“- დონორი აშშ საელჩო, ბიუჯეტი: 20 000 დოლარი, პროექტის მიზანი: იმ სტუდენტებში, რომელთა პროფესიაც მოიცავს ლგბტ ადამიანებთან ურთიერთობას, ლგბტ საკითხებში ცოდნის დონისა და მგრძნობელობის ამაღლებას.

4. „ტრასგენდერთა სქესის სამართლებრივი აღიარება“- გამოყოფილია: 20 000 დოლარი, რომელიც დაიხარჯება ჰომოსექსუალობის საკითხებზე ღიად ლგბტ ადამიანების ლექციებზე, სექსუალობის ზოგად კურსებზე და ა.შ.

5. საქართველოში ჰომოფობიის შესამცირებლად და საზოგადოებაში ტოლერანტულობისა და განსხვავებულობისადმი მიმღებლობის ასამაღლებლად კიდევ ერთი პროექტი განახორციელდა. სამუშაოს აქტივობები ამჯერად ქართული ფონდის, „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ დაფინანსდა და მისი ბიუჯეტი 20 000 ამერიკულ დოლარს შეადგენდა.

„ჰომოსექსუალიზმის, ლესბოსელობის, გეიუმცირესობების დაცვა, როგორც ჰედონიზმის მთავარი საყრდენისა, ეს არის პოლიტიკა თანამედროვე მსოფლიოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ ელექტრონული თუ ბეჭდური მედიასაშუალებებით, ითვლება ბრძოლად პოლიტიკური მიმართულების მიმართ, რომლისთვისაც არაა მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული თვითმყოფადობა, პოლიტიკური მიმართულებები, რელიგია, პიროვნული ინდივიდუალიზმი. სურთ გვაქციონ გაურკვეველი ფიგურების მონებად, იმ ძალების მონებად, რომლებიც დგანან ამ ცოდვილი ადამიანების უკან. ბერლინის, რომის, პარიზის ქუჩებში მიმდინარეობს ღია ომი ეთიკის, სამყაროს, კულტურის, ისტორიის წინააღმდეგ (ციტატა ფილმიდან„ დასავლეთის დაცემა“).

ჰომოსექსუალისტთა ყველაზე უკომპრომისო დამცველი ევროკავშირია.

1994 წელს მიიღეს ბრძანებულება, რაც ითვალისწინებდა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები ვალდებულნი იყვნენ ხელი არ შეეშალათ ჰომოსექსუალებისთვის შეექმნათ ოჯახი, ეშვილებინათ და აღეზარდათ შვილები. 2001 წლის 5 ივლისს ევროპარლამენტმა რეკომენდაციებით მიმართა წევრ ქვეყნებს შეეცვალათ კანონმდებლობანი, რაც ზღუდავდა ჰომოსექსუალისტთა უფლებებს და დაადგინა, შეეტანათ კანონში ჰომოსექსუალთა სამოქალაქო ქორწინების დაკანონება.

2006 წელს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია„ ჰომოფობია ევროპაში“, რაც ითვალისწინებდა, რომ ჰომოსექსუალიზმი არაა ცოდვა და ჰომოსექსუალისტთა, გეების, ლესბოსელების, ტრანსვესტიტების მიმართ ზიზღი შეფასდა, როგორც რასიზმი, ჰომოფობია და ანტისემიტიზმი. სასჯელი დაწესდა არა მხოლოდ სექსუმცირესობების მკვლელობაზე, არამედ, მათ სიტყვიერ შეურაცხყოფაზე, დამცირებაზე, ხოლო სექსუმცირესობების უფლებების დარღვევა შეფასდა, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული და დადგინდა, ვინც სექსუმცირესობებს შეურაცხყოფს, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში უმკურნალონ.

ასე რომ, კაშიას მკლავზე ლგბტ სამკლაური ნუ გაგვიკვირდება, არავის უნდა გარიყვა, კარიერის დაკარგვა და მით უმეტეს, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გამწესება.

ახლახან სოციალურ ქსელში დაწერეს: სამარცხვინო ის კი არაა პირველ ღამეს დედოფალი რომ ქალიშვილი არ აღმოჩნდეს, ისაა საშიში ნეფე არ იყოს მო... ულიო.

აქცია აქციაზე იმართება, რომ ქართველობა არ წაგვართვან.

ქართველობას კი არა, სულს, ადამიანობას გვაკარგვინებენ და თუ ცხოველი გახდები, არც ეროვნება გემახსოვრება მაშინ, არც რწმენა და საკუთარი თავის პატივისცემასაც ბოლომდე დაკარგავ.

ზუსტად ესაა სატანის მთავარი მიზანი – დავცემ ადამიანს და პირუტყვად ვაქცევო.

ასე რომ, მიტინგები კი არ უშველის ამას, ეკლესიამ უნდა ამოიღოს ხმა და გადააარჩინოს ადამიანიც და ქვეყანაც...

ანა ვადაჭკორია

ძლიერი რეგიონები

დედოფლისწყარო

დედოფლისწყაროს მერის პირველი სამუშაო დღე

ნიკოლოზ ჯანიაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილების შესრულებას ოფიციალურად შეუდგა. მან პირველი სამუშაო დღე მოქალაქეებთან შეხვედრით დაიწყო და მათს პრობლემებს გაეცნო.

21 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებში ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ხმების 65,45 პროცენტით გამარჯვება პირველივე ტურში მოიპოვა.

შეგახსენებთ, ნიკოლოზ ჯანიაშვილი ამ თანამდებობაზე უკვე მესამედ აირჩიეს. თავდაპირველად დედოფლისწყაროს გამგებლად 2014 წლის თებერვალში ის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა, შემდეგ კი 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე პირდაპირი წესით არჩეული გამგებელი იყო. წინა არჩევნებზე ჯანიაშვილმა ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მაღალპროცენტიანი მხარდაჭერა ჰქონდა. 2014 წელს გამგებელმა 9 910 ხმა მიიღო, რაც ამომრჩეველთა დაახლოებით 89 პროცენტია.

თვითმმართველობის რეფორმის ფარგლებში, ამიერიდან მუნიციპალიტეტებში გამგეობას მერია ჩაანაცვლებს.

გურჯაანს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

არჩილ ხანდამაშვილი გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილების შესრულებას ოფიციალურად შეუდგა. მან პირველი სამუშაო დღე მერიის თანამშრომლებთან შეხვედრით დაიწყო და სამსახურების მუშაობის სპეციფიკას გაეცნო.

ყვარელი – ახლადარჩეული მერი უფლებამოსილების შესრულებას შეუდგა

ყვარლის ახლადარჩეული მერი როსტომ სესიაშვილი უფლებამოსილების შესრულებას შეუდგა. ინფორმაციას ამის შესახებ ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა ავრცელებს. ახალმა მერმა სამუშაო დღე თანამშრომლებთან შეხვედრით დაიწყო.

როსტომ სესიაშვილი მოსახლეობამ მუნიციპალიტეტის მერად 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველივე ტურში აირჩია - მან ამომრჩეველთა ხმების 63,85 პროცენტი მიიღო.

როსტომ სესიაშვილმა დაამთავრა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტი, შემდეგ - ამავე უნივერსიტეტის აგრონომიის ფაკულტეტი, მინიჭებული აქვს აგრონომიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა კერძო სტუქტურებში, ხოლო 2013 წლიდან „ქართული ოცნების“ ყვარლის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა. გავლილი აქვს სხვადასხვა სასწავლო კურსი საქართველოში და საზღვარგარეთ.

დუშეთი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ჭოპორტში

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოპორტში სასოფლო-სამეურნეო საწარმოს გახსნა შესაძლებელი გახდა ისეთი ორგანიზაციებისა და პროექტების ხელშეწყობით, როგორებიცაა: არასამთავრობო ორგანიზაცია „სოფლად თემთა განვითარების სააგენტო“, ევროკავშირის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამა (ENPARD) და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“.

სოფელ ჭოპორტის სამაცივრე მეურნეობა, რომელიც 200 კვ.მ ფართზეა განთავსებული, აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ის განკუთვნილია, ძირითადად, კოოპერატივის წევრების პროდუქციისთვის, კერძოდ, ხილისა და ბოსტნეულის ხანგრძლივი დროით შესანახად.

ლიტვის დელეგაცია ამბროლაურში

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ლიტვის დელეგაციას უმასპინძლა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტსა და ლიტვის რესპუბლიკის ლაზდაიას მუნიციპალიტეტს შორის 2016 წელს თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა. მას შემდეგ ორი მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს.

ზუგდიდი – ზრუნვა ხანდაზმულებსა და შშმ პირებზე

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია People In Need Georgia (PIN) წარმატებით ახორციელებენ ინოვაციურ პროექტს - „ხანდაზმულებზე მზრუნველი მობილური ჯგუფი“.

პროექტის ფარგლებში, გამგეობის სოციალურ საქმეთა და ჯანდაცვის სამსახურის წარმომადგენლები, მობილური ჯგუფის წევრებთან ერთად, ჭითაწყარისა და ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულებში მარტოხელა ხანდაზმულებთან იმყოფებოდნენ.

ჭითაწყარში მცხოვრებ მარტოხელა ბენეფიციარს, რომელიც ეტლს საჭიროებდა, ახალი ეტლი გადაეცა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ერთად ამ პროგრამაში აქტიურად თანამშრომლობენ საერთაშორისო ასოციაცია,, საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ და LDS,, CHARITY“.

ინგირში მცხოვრებ მარტოხელა ბენეფიციარს კი საკვები პროდუქტები მიუტანეს და სამედიცინო მომსახურება გაუწიეს.

პროექტის განხორციელება გამგეობამ ივლისში დაიწყო. სამიზნე ჯგუფს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფი - მარტოხელა ხანდაზმულები წარმოადგენენ, რომელთაც არ აქვთ ფიზიკური და ეკონომიკური საშუალება, მოიწესრიგონ თავიანთი საცხოვრებელი გარემო და პირობები. პროექტი 30 ბენეფიციარზეა გათვლილი.

ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში ეტლით მოსარგებლე ბენეფიციარს გამგეობის სოციალურ საქმეთა და ჯანდაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა ახალი ეტლი გადასცეს.

მიმდინარე წელს ახალი ეტლი, ჯამში, ეტლით მოსარგებლე 31 ბენეფიციარს გადაეცა.

ფოთს ახალი მერი ჰყავს

ფოთის ახალარჩეული მერი გოჩა კურდღელია უფლებამოსილების შესრულებას ოფიციალურად შეუდგა. 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებში მან ფოთელი ამომრჩევლის ხმათა 55,14 პროცენტი მიიღო.

„მადლობას ვუხდი ჩემს თანაქალაქელებს იმ ნდობისთვის, რომელიც მათ გამომიცხადეს. ამ ეტაპზე ყველაზე პრიორიტეტული ქალაქის ბიუჯეტის სწორად დაგეგმვაა. 2018 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების სწორ შერჩევაზეა დამოკიდებული ყველა ის პროექტი, რომელთა განხორციელებასაც მოსახლეობა ჩვენგან ითხოვს“, - განაცხადა ქალაქის მერმა.

გოჩა კურდღელია ფოთშია დაბადებული, დიპლომირებული ინჟინერ-ეკონომისტია. სხვადასხვა დროს მუშაობდა: სენაკის პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში - საწარმოო ოსტატად, ბუღალტრული აღრიცხვის პედაგოგად; ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში ტექნიკოსად; საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის სატვირთო განყოფილების უფროსად; დააფუძნა არაერთი შპს, მათგან უმეტესობას სათავეში ედგა. იყო თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს წევრი.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.

ბოლნისი

აბაშის მერი გუბერნატორმა წარადგინა

აბაშის მუნიციპალიტეტის არჩეული მერი ლევან მაკალათია საჯარო მოხელეებსა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ წარუდგინა. ისაუბრეს სამომავლო გეგმებსა და განსახორციელებელ პროექტებზე.

ლევან შონიამ და ლევან მაკალათიამ აბაშის ყოფილ გამგებელს მამუკა კვიტაშვილს გაწეული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადეს.

ლევან მაკალათია სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე. პროფესიით ტურიზმის კომერსანტ-ეკონომისტია. სხვადასხვა დროს მუშაობდა: ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში ადმინისტრაციული განყოფილების უფროსად; აუდიტორულ-საკონსულტაციო კომპანია UBC International-ის აუდიტორად; შპს Audit Company-ს ეკონომისტად; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის დეპარტამენტის კურორტების განვითარების სამმართველოს უფროსად; 2013-2015 წლებში - საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატაში რეგიონული განვითარებისა და მართვის სამმართველოს უფროსად; 2015 წლიდან იყო შპს „პროგრესული მშენებლების“ დამფუძნებელი და დირექტორი;

საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით განხორციელდა.

მარტვილი – სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობა

მუნიციპალიტეტში (ქ. მარტვილი, მშვიდობის ქუჩა) ახალი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობა დაიწყო.

მშენებლობაზე, რომელიც რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან 126 899 ლარით ფინანსდება, დასაქმებულია 10 ადამიანი.

მარტვილის მუნიციპალიტეტის სასწრაფო-სამედიცინო ცენტრის სამსახურს 3 სამედიცინო დახმარების მანქანა და 41 თანამშრომელი ჰყავს (ექიმები, მედპერსონალი და სხვა თანამშრომლები).

ბორჯომის მუნიციპალიტეტში

ბორჯომის მუნიციპალიტეტმა 3 წლის განმავლობაში 40 საყრ-

ძლიერი საქართველოსთვის

ზუგდიდი

დენი კედლის მშენებლობის პროექტი განახორციელა როგორც ბორჯომის სხვადასხვა ქუჩაზე, ისე მუნიციპალიტეტის სოფლებში. სამუშაოებისთვის 1 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

საყრდენი კედლების რეაბილიტაციას ყველზე ხშირად ითხოვს ადგილობრივი მოსახლეობა, რადგან ბორჯომში არსებული რთული რელიეფის გამო ხშირია კედლების რეაბილიტაციისა და ახალი კედლის მშენებლობის საჭიროება.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტი საყრდენი კედლების მშენებლობას მომავალშიც ინტენსიურად გააგრძელებს.

ჩხოროწყუ – ქალები მუნიციპალიტეტის განვითარებაში

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და ასოციაცია„ ათინათი“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ახორციელებს პროექტს„ ქალთა გაძლიერება ცვლილებებისათვის“, რომელიც დაფინანსებულია გაეროს განვითარების პროგრამის„ გენდერული თანასწორობის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ქალთა თანასწორობას, მათს ეკონომიკურ და სამოქალაქო გააქტიურებას, სოფლებში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას. ამ მიზნით ხაბუმესა და მუხურში ფუნქციონირებს ქალთა საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ სოფლის პრობლემატური საკითხების მოგვარებაზე.

საინიციატივო ჯგუფის წევრებმა სოფლებში მნიშვნელოვანი პრობლემის გამოსავლენად ჩაატარეს მოკვლევითი სამუშაოები, რომელთა შედეგად გამოვლინდა ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები სამიზნე სოფლების მიხედვით.

ქალთა საინიციატივო ჯგუფებმა, გამოვლენილი პრობლემების მოგვარების მიზნით, მოამზადეს პრეზენტაციები, რომლებიც წარუდგინეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს და პროექტის ფარგლებში გამოვლენილი სოფლის მწვავე პრობლემების მოგვარებისთვის 2018 წლის ბიუჯეტში შესაბამისი თანხის გათვალისწინება სთხოვეს.

შეხვედრას ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი დათო გოგუა დაესწრო და საინიციატივო ჯგუფის წევრებს გამოვლენილი პრობლემების მოგვარებაში დახმარებას დაჰპირდა.

სენაკის ახალი მერი მუშაობას შეუდგა

მუნიციპალიტეტის ახალი მერი ლევან კუპრეიშვილი თანამშრომლებს სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ წარუდგინა.

„ახალი მერი ევროპული განათლების მქონე და გამოცდილი კადრია. მიხარია, რომ ასეთი ენერგიული მერი ჰყავს სენაკს. ლევანი მოდის კონკრეტული გეგმებით უკეთესი სენაკისთვის. ჩვენ ერთობლივად ძალიან ბევრი პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ სენაკში“, - განაცხადა ახალი მერის წარდგენისას სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა.

ლევან შონიამ და ლევან კუპრეიშვილმა სენაკის ყოფილ გამგებელს გოჩა დგებუაძეს გაწეული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადეს.

სენაკის ახალმა მერმა თანამშრომლებს სამომავლო გეგმები გააცნო.

ლევან კუპრეიშვილი ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტია; სხვადასხვა დროს სწავლობდა ინგლისში, ქალაქ ბორნმუსის ბიზნესის სკოლაში, ქ. ბრაიტონში, The University Of Warwick-ში დაიცვა დისერტაცია თემაზე „სტრატეგიული ლოგისტიკური ჰაბების შედარებითი ანალიზი“.

ბოლო წლებში იყო „საქართველოს რკინიგზის“ შვილობილ კომპანია „ჯიარ ქონების მართვის“ გენერალური დირექტორის მოადგილე.

რუსთავს ახალი მერი ჰყავს

რუსთავის ახლად არჩეული მერი ირაკლი ტაბაღუა უფლებამოსილების შესრულებას ოფიციალურად შეუდგა. წარდგენის შემდეგ ახალმა მერმა სამსახურების წარმომადგენლებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა და ვრცლად ისაუბრა სამომავლო გეგმებზე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერად აირჩიეს

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა უფლებამოსილების პირველი სამუშაო დღე ჟურნალისტებთან ერთად გაატარა. ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებულ მერთან ვრცელი ინტერვიუ ტელეკომპანია „ქვემო ქართლის“ გადამღებმა ჯგუფმა ჩაწერა.

„დღეს პირველი სამუშაო დღე მქონდა მერის რანგში და ძალიან სასიხარულოა, რომ ეს დღე ჟურნალისტებთან ერთად გავატარე. ჩვენი მუშაობა არის გამჭვირვალე და ყოველთვის მზად ვარ, ჟურნალისტების ნებისმიერ შეკითხვას გავცე ამომწურავი პასუხი“, - აღნიშნა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

დმანისის ახალი მერი უფლებამოსილების შესრულებას შეუდგა

დმანისის მუნიციპალიტეტის საკონფერენციო დარბაზში გამართულ შეხვედრაზე დმანისის მაჟორიტარმა დეპუტატმა კახაბერ ოქრიაშვილმა დმანისის მუნიციპალიტეტის ახლად არჩეული მერი გიორგი ტატუაშვილი გამგეობისა და ა(ა)იპ სამსახურის ხელმძღვანელებს წარუდგინა.

„ გიორგი კვალიფიციური და გამოცდილი იურისტია, ღირსეული დმანისელია. დარწმუნებული ვარ, გიორგი იქნება კარგი მმართველი, ის ახალი შემართებით განავითარებს დმანისს“, - განაცხადა კახაბერ ოქრიაშვილმა.

გიორგი ტატუაშვილმა ისაუბრა სამომავლო გეგმებსა და მომავალი თანამშრომლობის საკითხებზე.

21 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებში„ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ დმანისის მერობის კანდიდატმა გიორგი ტატუაშვილმა ამომრჩევლის ხმების 75,62 პროცენტი მიიღო.

გორი – ხურვალეთში, საოკუპაციო ხაზთან

უკრაინის ვიცე-პრემიერი პავლო როზენკო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი და შიდა ქართლის გუბერნატორის პირველი მოადგილე იოსებ ოქრომელიძე საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ხურვალეთს სტუმრობდნენ. მინისტრები საოკუპაციო ზოლში მცხოვრებ დათა ვანიშვილს გაესაუბრნენ და ადგილზე არსებულ პრობლემებს გაეცნენ.

დევნილთა და განსახლების მინისტრმა უკრაინის ვიცე-პრემიერს საქართველოს მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა:

„ბერლინის კედელი იყო საზღვარი ცივილიზაციასა და ანტიცივილიზაციას შორის, ცივილიზაციასა და ბოროტებას შორის, როგორც დღეს, ეს ხელოვნური ბარიერი არის საზღვარი ცივილიზაციასა და ანტიცივილიზაციას შორის. მჯერა, რომ როგორც ბერლინის კედელი დაინგრა, ისე დაინგრევა ნებისმიერი ასეთი ბარიერი. დღეს, საქართველო და უკრაინა ერთნაირ მდგომარეობაში ვართ, გვაქვს ოკუპირებული ტერიტორიები, უკრაინაში ჯერ კიდევ მიმდინარეობს საომარი მოქმედებები. თუმცა ორი მეგობარი ქვეყნის მტკიცე პოზიცია და საერთაშორისო მხარდაჭერა არის საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტია“.

უკრაინის ვიცე-პრემიერ მინისტრმა პავლო როზენკომ, ე.წ საზღვრიდან საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართა და რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებისკენ მოუწოდა:

„ის რაც ხდება საქართველოსა და უკრაინაში არის ერთი ადამიანის გაუაზრებელ სურვილს შეწირული უამრავი განადგურებული, დახვრეტილი ადამიანი და უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები. გამოვთქვამ იმედს, რომ ყველაფერს აქვს დასასრული და აქედან მივმართავ საერთაშორისო თანამეგობრობას, გააძლიერონ ზეწოლა რუსეთზე, რათა აღდგეს საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა“.

უკრაინის ვიცე-პრემიერ მინისტრის პავლო როზენკოს ოფიციალური მიზანს იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით საქართველოში არსებული გამოცდილების გაზიარება წარმოადგენდა.

სენაკი

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

1922 წელს ამერიკელი სამთო ინჟინერი ჯორჯ რეიდი სასარგებლო წიაღისეულის დაზვერვით სამუშაოებს აწარმოებდა ნევადის შტატში როდესაც ფეხსაცმლის კვალი აღმოაჩინა. მოგვიანებით აღმოჩენა 213-218 მილიონი წლით დათარიღდა.

1933 წელს პეკინის მახლობლად არქეოლოგებმა აღმოაჩინეს სამი ადამიანის ნაშთი, რომლებიც 30 000 წლით დათარიღდა და თანამედროვე ადამიანებისგან არაფრით განსხვავდებოდნენ.

1961 წელს პერუელმა მედიცინის პროფესორმა ხუან კამბრერამ ქალაქ იკის გარეუბანში მოხატული ქვები აღმოაჩინა. დღეს ამ ქალაქის მუზეუმში ხუთ დარბაზშია გამოფენილი უამრავი მოხატული ქვა, რომლებზეც არა მხოლოდ ნახატებია, არამედ მათი მთელი



სერიაა წარმოდგენილი. ქვებზე იმ ცივილიზაციის წარმომადგენლები არიან გამოსახულები, რომლებიც პრეისტორიულ ეპოქაში, დედამიწაზე ჩვენი ცივილიზაციის გამოჩენამდე ცხოვრობდნენ. ნახატებზე გამოსახულები, ერთგან ლუპით რაღაცას იკვლევენ, მეორეგან – ტელესკოპით ცას აკვირდებიან. Aარიან ქირურგები, რომლებიც ოპერაციას ატარებენ... ნახატებით ირკვევა, რომ იმ ცივილიზაციის ექიმებს შეეძლოთ გულისა და ტვინის ოპერაციების ჩატარება; ქვებზე დახატულია რუკებიც. ყველაზე მნიშვნელოვანი ის ინფორმაციაა, რომელიც უცხოპლანეტელების დედამიწაზე ვიზიტის შესახებ იუწყება. ქალაქი პარაკასისა და ნასკას სიახლოვეს მდებარეობს და ორივე ადგილი სენსაციებით გახდა განთქმული.

პარაკასის მიწისქვეშეთში აღმოჩენილია „მიცვალებულთა ქალაქი“, რომელშიც ასობით მუმია ზის მომლოდინე პოზაში. მათი გამომშრალი სხეულები ხასხასა ძაფებით მოქარგული ქსოვილით არის დაფარული, რომელთაც ხანდაზმულობის მიუხედავად ფერი არ დაუკარგავთ. ქსოვილებზე გამოსახულია არსებები, რომლებიც ჩვენს სამყაროს არ განეკუთვნებიან. სავარაუდოდ, პარაკასელებმა, ვიდრე სამუდამოდ დატოვებდნენ ამ სამყაროს, თავიანთი ცოდნა ნასკას კულტურის წარმომადგენლებს გადასცეს, მაგრამ სად და როგორ გაქრნენ თვითონ?

ნასკას ხაზები

უზარმაზარი გეომეტრიული და ფიგურული გეოგლიფების (გეოგრაფიული ფიგურები დედამიწის ზედაპირზე) ჯგუფი პერუს სამხრეთით მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში აღმოაჩინეს მფრინავებმა, როდესაც პერუზე პირველი გადაფრენები დაიწყო. ბუნებრივია, ფიგურების შესახებ არავინ არაფერი იცოდა, რადგან დიდი ზომების გამო, მათი დანახვა მიწაზე მდგომი ადამიანისთვის შეუძლებელი იყო, თუმცა თვითმფრინავიდან კარგად გამოჩნდა 500 კვ.მ-ზე გადაშლილგამოკვეთილი 30-მდე ცოცხალი ორგანიზმის და 700-მდე გეომეტრიული ფიგურა, 13 000-მდე ხაზი და ზოლი. აღსანიშნავია, რომ მათ შორის მხოლოდ ერთი ფიგურა ჰგავს ადამიანს, ე.წ „ასტრონავტი“, რომლის სიგრძე 30 მეტრია. 1994 წლიდან „ნასკას ხაზები“ იუნესკოს მსოფლიო საგანძურშია შეტანილი, მაგრამ რას წარმოადგენდა ეს ხაზები, ვინ, რატომ, რისთვის, როგორ შექმნა, დღემდე არ არის დაზუსტებული, ვერსიები კი უამრავია.

ერთი ვერსიით, ამ გიგანტურ ხაზებზე ძველი ათლეტები დარბოდნენ, ასე ვთქვათ, რაღაც შეჯიბრი იმართებოდა; სხვა ვერსიით – ნასკას ხაზები უცხოპლანეტელებმა შექმნეს თავიანთი ხომალდების ასაფრენ-დასაფრენ ბილიკებად, მაგრამ ამ შემთხვევაში აუხსნელი რჩება, ისეთ განვითარებულ „სტუმრებს“, რომელთაც ვარსკვლავთშორის სივრცეებში სინათლის წლების გამოფრენა შეუძლიათ, რაში დასჭირდებოდათ „რაღაც ბილიკები“.

თავდაპირველად, ეგონათ, რომ ფიგურები ნასკას კულტურის წარმომადგენლების მიერ იყო შექმნილი, რომლებიც ამ პლატოზე ძვ.წ.აღ II და ახალი წ. აღ VI საუკუნეებში სახლობდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1997 წელს გერმანიის არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა ექსპედიცია მოაწყო ადგილობრივ

არქეოლოგებთან ერთად, გაირკვა, რომ ფიგურები ბევრად ადრე იყო შექმნილი და ისინი ნასკას კი არა, პარაკასის კულტურას ეკუთვნოდა. პარაკასელები პლატოზე ძვ. წ. აღ 1800-860 წლებში სახლობდნენ. პერუელმა არქეოლოგმა ხულიო ტეილომ გამოთქვა ვერსია, რომ პარაკასელები პლატოზე 9000 წლის წინ გამოჩდნენ. საბოლოოდ, თარიღი დაადგინეს, მაგრამ რა დანიშნულება მათ?

ითვლება, რომ საიდუმლო ამოხსნილია – მას შემდეგ, რაც ხაზების გვერდზე ათასობით მომრგვალებული ძირის მქონე ლარნაკის ნამსხვრევი აღმოაჩინეს, რომლის დადგმა მიწაზე შუძლებელია იყო, გაჩნდა იდეა, რომ მას მიწაში ათავსებდნენ და შიგნით ცეცხლს ანთებდნენ. ფიგურების ხაზებზე, ლარნაკების დალაგებისა და ცეცხლის დანთების შემთხვევაში, უდაბნოს ცხელი კლიმატური პირობების გამო იქმნება ზემო მირაჟი რომლის დანახვა კოსმოსიდანაც შესაძლებელია. „კოსმოსური ვერსიის“ მიხედვით, პლატოზე მცხოვრები ადამიანები ფიგურების მეშვეობით ინფორმაციას გადასცემდნენ კოსმოსში (თითოეულ ფიგურაში ინფორმაცია იყო კოდირებული) ან, შესაძლებელია, ფიგურებს რიტუალური დანიშნულება ჰქონდათ, მათი მეშვეობით ღმერთებს მოიხმობდნენ ან რამეს სთხოვდნენ. ასეა თუ ისე, ყველა ვარიანტი „მაღალი ციდან“ Uთუ „ცასთან“ რაღაც მნიშვნელოვანს უკავშირდება.

იმის გამო, რომ „ნასკას ნახატების“ აღქმა მხოლოდ ზემოდან არის შესაძლებელი, გაჩნდა ასეთი ვერსიაც, რომ თვით ნასკას ხალხი ფლობდა ფრენის ტექნიკას. ამ ვერსიას ანვითარებდა ის ფაქტიც,

რომ უდაბნოში აღმოჩენილ კერამიკაზე გამოსახული იყო ფრანები და ბურთები, ხოლო ბევრი ხაზის ბოლოში არსებულ წრიულ ორმოებში აღმოჩნდა ნახშირის ნამწვავები. ვარაუდი ემყარებოდა იმას, რომ ცხელი ჰაერის მეშვეობით საჰაერო ბურთს უშვებდნენ. ამ მოსაზრების დამტკიცება საერთაშორისო კვლევითი საზოგადოების წევრებმა, ამერიკელმა ბილ სპოჰრერმა და ჯიმ ვუდმანმა პრაქტიკულად გადაწყვიტეს. მათ შექმნეს საჰაერო ბურთი და მისი გაშვება სცადეს იმ მასალისა და ტექნიკის გამოყენებით, რომელიც იმ დროისთვის ნასკას მაცხოვრებლებისთვის უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი. ბურთი მართლაც აფრინდა და იფრინა სხვა და სხვა მიმართულებით 14 წუთი. მიუხედავად ამ შთამბეჭდავი შედეგისა, არ არსებობს ისეთი ხელჩასაჭიდი მტკიცებულება, რომელიც დაამტკიცებს რომ, ნახატების შესაქმნელად ნასკას ხალხი მართლაც იყენებდა ფრენის ტექნიკას.



ადგილის გულმოდგინედ შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ეს ხაზები სრულიად ჩვეულებრივმა ხალხმა შექმნა. ცხოველთა ზოგიერთი ნახატის მახლობლად დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭელი იპოვეს, რომლებიც ამ ტერიტორიაზე დაახლოებით 2000 წლის წინათ დამარხული ადამიანების საფლავებში აღმოჩენილი ჭურჭლისა და ქსოვილების მსგავსი იყო. ქოთნებზე გამოსახული ცხოველები და ფრინველები კი ძალიან ჰგავდნენ უდაბნოში დახატულებს. ცხადი გახდა, რომ ჭურჭელიცა და უდაბნოს ნახატებიც ერთსა და იმავე ხალხს ეკუთვნოდა.

„ნახატები“ მიღებულია კლდოვანი ქანებისა და მიწის ამოთხრის შედეგად „ნეგატივი“ სურათის სახით. კლდოვანი ქანები, რომლითაც დაფარულია უდაბნო, ჟანგვის შედეგად მუქ ყავისფრად გამოიყურება და შედეგად, როდესაც 12-15 ინჩის ზომის ასეთ კლდეებს ამოთხრიან და სხვა ადგილას გადაიტანენ, ჩნდება ღია ფერის, მაღალი კონსისტენციის ქვიშა. გამომდინარე იქიდან, რომ ნასკას უდაბნოში წვიმა უიშვიათესია და თითქმის არ არის ქარი და ეროზია, ნახატები ბუნებრივი მიზეზით არ დაზიანებულა საუკუნეების განმავლობაში.

ნასკას კვლევაში განუზომლად დიდია დოქტორ მარია რაიხეს შრომა, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში სრულიად მარტო იკვლევდა უდაბნოს და „ხაზების დედოფლის“ სახელით გახდა ცნობილი. მისი მოსაზრებით, „უძველესი ხალხი მზისა და მთვარის მდებარეობის მიხედვით ადგენდა კალენდარს. ასე განისაზღვრებოდა გაზაფხულისა და შემოდგომის მოსვლა; წყლის რეჟიმის სეზონური ცვალებადობა, აქედან გამომდინარე ხვნა-თესვისა და მოსავლის აღების ვადები. სწორედ ამიტომ არის გავლებული ამდენი სწორი ხაზი. რაც შეეხება ცხოველების ფიგურებს, მათ ზუსტ დანიშნულებაზე საუბარი ძნელია, მხოლოდ ის ვიცი, რომ ზოგი მათგანი თანავარსკვლავედს აღნიშნავს. ყველაზე მეტად, ვოცნებობ, ჩავწვდე უძველესი ხალხის აზროვნებას, რომელმაც ასეთი უჩვეულო ნიშნებით დამწერლობა დაგვიტოვა. ძალიან მნიშვნელოვანია იმის ამოცნობაც, თუ როგორ მოახერხეს ადამიანებმა, რომლებსაც არ შეეძლოთ უდაბნოს თავზე გადაფრენა, მოეხდინათ ციური სამყაროს სურათის გადიდებული და ზუსტი პროექცია.“

კვლევათა ახალმა ტალღამ ხაზების არქეო-ასტრონომიულ ხედვაში ნაპრალების შეტანა დაიწყო – 1960-იან წლებში საუბარი არ იყო ისეთ რადიკალურ თეორიებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო უცხოპლანეტელებთან და უძველეს ასტრონავტებთან.

მიუხედავად იმისა, რისთვისაა შექმნილი ნასკას ხაზები პერუს უკაცრიელ ზეგანზე და იძლევა თუ არა აქამდე არსებული რომელიმე ვერსია ან თეორია მეტ-ნაკლებად დამაჯერებელ პასუხს, მაინც გამოცანად რჩება კაცობრიობისთვის, თითქოს სამყარო თვითონ იცავს საკუთარ საიდუმლოებებს...

თანამედროვე მეცნიერები დარწმუნებულები იყვნენ და ჩვენც გვარწმუნებდნენ, რომ ადამიანების ისტორიული სამშობლო აფრიკის ტერიტორიაა, მაგრამ ნეტავ, რომელ აფრიკაზე და აფრიკელ ადამიანებზეა საუბარი, შუმერული ხელნაწერებით ანუნაკებმა (ციდან მოსულებმა) გენური ინჟინერიით მაიმუნებად რომ გამოიყვანეს ოქროს მოსაპოვებლად სამუდამოდ მაღაროებში სამუშაოდ?

(გაგრძელება იქნება)

აქ როიალი ორმოცი დღეა დუმს...

ფრიდონ თოდუას კლინიკური მედიცინის ფოიეში ორმოცი დღეა დუმს ქალბატონ თინათინ შენგელაიას როიალი, ორმოცი დღეა თამარ კვესიტაძის ალი და ნინო არ ტრიალებენ ერთმანეთის გარშემო. კედლის საათები კი სხვადასხვა დროით მიქრიან უდასასრულო სამყაროში და ქვეყნის გადარჩენასავით მიაქვთ ზუგდიდ-ქალაქიდან აფრენილი მართლ-კაცის, ფრიდონ იპოლიტეს ძე თოდუას, ნინა ცხადაიას ვაჟის საარაკო ამბავი სიკვდილთან მოპაექრობისა. დიახ, მან პირველმა დაიძახა სრულიად საქართველოს გასაგონად: კიბო არ არის განაჩენი, არამედ ექვემდებარება მკურნალობასო; დიახ, მან პირველად განაცხადა ყბადაღებული კაცობრიული ცივილიზაციის ყურადსაღებად, რომ მისი თვალნათელი საქართველო გენოციდის წინაშეა დესტრუქციული ძალების მიერ, რომლებიც თავზე გვახვევენ გენმოდიფიცირებულ და პესტიციდებით გაჯერებულ პროდუქციას; რომ აღიარება მხოლოდ მშობლიურ ოდაბადეშია და არაფერია უფრო სასახელო, ვიდრე მისი გადასახედიდან ბოძებული დაფასება; რომ კუს ნაბიჯებით უნდა მსწრაფველობდე ნიადაგ უმთავრესი მიზნისკენ, რასაც სამშობლოს აღორძინება და წინსვლა ჰქვია სახელად; ვინ იცის, იქნებ არ ეპატია ესოდენ მკვეთრი სენტენციების მაღალი ტრიბუნებიდან გასაჯაროება ათეულობით უნივერსიტეტის საპატიო დოქტორს, სწორუპოვარ აკადემიკოსს, ნობელის კომიტეტის კარიბჭესთან რეალურად მისულს, როგორც მშვიდობის დესპანს. არავინ უწყის უზენაესის მეტმა.

ორმოცი დღეა დუმს როიალი ფრიდონ თოდუას სამედიცინო კლინიკის პირველი კორპუსის ფოიეში. დიახ, ხუთი კორპუსისაგან შედგება ეს ონკოლოგიური ცენტრი დღეს, რომლის სართულ და სართულ, ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, ხის კიბეებით დადიოდნენ იპოლიტოვიჩის კოლეგები, როგორც თხმელაზე ოჯალეშის საკრეფად გასული მეგრელები.

გადავლაზე სულიერი თრთოლვა და ამ დღეებში პირველად შევაბიჯე მის ციტადელში. კაბინეტის კარები ღია მხვდება. ეგრევე თვალში მეცემა მისი ასული **ნინო თოდუა** და თავზე დამტყდარი უბედურებისგან სანთელივით გაცრეცილი თანამეცხედრე მისი **თინათინ (თათული) შენგელაია,** ზურგზე ხელის გადასმასღა მოვიფიქრებ ერთიანად აწურული. არ მიღიმის ძველებურად გამობრძმედილი თანაშემწე იპოლიტოვიჩისა – რიმა. მე კაბინეტის ღია კარის ზღურბლთან ხელით მივეყრდნობი ჩარჩოს და ვარ ასე სკამზე გადაკიდებულ ხალათს მიჩერებული.

აქ, რამდენიმე წლის წინათ, ჩემს გახუნებულ ჩანთას რომ შეავლო თვალი ნეტარხსენებულმა, გამომიარე ხვალო, მითხრა და იმ ხვალზე ჟღალი მიმინოსფერი ჩანთა დამახვედრა! ორი შევიძინე ვენაში, ეს შენია, ოღონდ ძველი მე დამიტოვეო, მითხრა სერიოზულობით. გადავანაცვლე ნივთები და თქმულის აღსრულებას რომ შევუდექი, შეინახე კაცო, სამუზეუმოდ, გეხუმრეო.

მეორედ, გამოწკეპილი რომ მნახა, მკითხა, ამ დილაადრიან საითკენ გაგიწევიაო. ჩაწერა მაქვს-მეთქი ტელესტუდიაში, ბატონი ოთარ ფაცაციას ნაჩუქარი კოსტუმია-მეთქი, მოვიწონე თავი.

იყავი ცოტა ხანსო, დამაყოვნა კაბინეტში, რიმას მძღოლი თამაზი გამოაძახებინა და ამ სიტყვებით გადამაბარა: ხომ იცი, რომელ მაღაზიას ვგულისხმიობ, იქ კოსტუმი ამოარჩევინე ღია ფერისა, ლურჯი. თუ შარვალი გადასაკეთებელი აღმოჩნდა, იქვე გადააკეთებინე, ჰალსტუხიც შეურჩიე და აქ მომგვარე წამშიო. მართლაც ასე მოხდა ყველაფერი, ელვისებურად, ოღონდ ის იყო, მთლად ღია ფერის ლურჯი კოსტუმი არ აღმოაჩნდათ, შედარებით მუქი მერგო.

ფრიდონის ხელგამართვები ოთხმოციანი წლებიდან დამებედა. იგი გახლდათ ქართული ინტელიგენციის შეუდარებელი მეოხი. არსებობს ამის თაობაზე სტატისტიკა — 4000-ზე მეტ მწერალს, მხატვარს, რეჟისორს, მუსიკოსს, მომღერალს, ჟურნალისტს, ქორეოგრაფს, შემოქმედ ადამიანს ზოგადად, მოევლინა მფარველად, ან სრულიად უგასამრჯელოდ უმკურნალა მათ და გამოსტაცა უეჭველი სიკვდილის კლანჭებს, ან შეღავათი გაუწია შეძლებისდაგვარად, სათითაოდ.

ეს დღეები ბევრი ტოლ-მეგობარი მხვდება ქალაქში, გაიცვლება ორი ფრაზა და ეგრევე ფრიდონ თოდუას ფენომენი წამოტივტივდება — მისი ასეთი ნაუცბათევი წასვლა წუთისოფლიდან. თანაც რანაირ ზენიტზე ყოფნისას?! ამბობდნენ ქრისტეზეც გოლგოთის გზაზე შემდგარსა თუ მთლად ჯვარზე გასულზე, აეხსნას ჯვრისგან და ვირწმუნებთო. ეს ურწმუნო თომანი, სანამ ნაჭრილობევში არ ჩაგიყოფენ ხელს, არაფრით აღიარებენ შენს მართალკაცობას.

დერეფნებში, კულუარებში რამდენიმე თვით ადრე ჩამაწვეთეს ყურში მისი ავადმყოფობის ამბავი. გახევებული ვიყავი. ვერაფერს ვეუბნებოდი თავად ფრიდონს, სანამ აქეთ არ შემომეხმიანა:

– გერმანიაში ვიყავი სამკურნალოდ და იცი, თავი არარაობად მივიჩნიე, 18 საათი მალოდინეს, ვიდრე მკურნალობას დამიწყებდნენ. და მაშინ ავუხირდი ხელმძღვანელობას: ნუთუ თქვენთან არაფერს ნიშნავს აკადემიკოსობა, უმაღლესი რეგალიები, ადამიანის უფლებები-მეთქი.

გაგიკვირდებათ, ისეთი რამ მითხრეს კოლეგებმა მენტორული ტონით:

– ჰერ ტოდუა, **ადამიანის უფლებების დარღვევა გერმანიაში იქნება ის, თუ გერმანიის მოქალაქეზე წინ სხვა ქვეყნის წარმომადგენელს მოვემსახურებითო.**

– აი, როგორია მათი პატრიოტული სულისკვეთებაო, — თქვა და ჭკვიანი თვალები მომაპყრო გამომცდელად, — ჩვენ კი ხმის ამაღლებას თუ გავბედავთ მამულიშვილბაზე, კაცთმოძულეობად გვერთმევა, ადამიანის უფლებების შელახვით გვიცაცხანებენ, ქსენოფობიას გვწამებენ!

პურის ყიდვა, უწინარესად, მე მიწევს. ბოლო დროს ჭვავის თალხ პურს ავუღეთ გემო. თავიდან არა, მაგრამ რამდენიმე წახემსების მერე სარეკლამო ეტიკეტი პურის ტანიდან რომ ავაძრე, ელეთმელეთი მეცა. ეგრევე გამოქვეყნებულ ტელეფონს ვეცი და ვაუწყე რომელიღაც თანამშრომელს, რომ ამისი გაკეთება დანაშაულებრივია, პოლიგრაფიულმა საქონელმა, ვიდრე პურის სხეულამდე მოაღწევდა სულ ცოტა რვა პროცედურა მაინც გამოიარა სტამბაში. ფერადი პროდუქცია ოთხგზის გატარებას ითხოვს „ჰეიდელბერგის“ დანადგარში. მერე გილიოტინა, მერე დაფასოება, ივარაუდეთ, რამდენი შიშველი ხელი შეეხო, რამდენი მიკრობი აიწება ჩვენი არსობის საგანმა და მკვიდრად დაასახლა ეს მიკრობები პურის ზედაპირზე, ეგერ, ბატონ ფრიდონის გენოციდად გამოცხადებული ციფრის ცოცხალი მაგალითი. უფრო ჩავუღრმავდი საკითს და აღმოჩნდა, რომ ასეთი თალხი პური შაქრის დიაბეტით დაავადებულთათვისაც იფუთება სამამულო პურსაცხობებში. მერე გადავათვალიერე ბალტიისპირეთიდან შემოსული პურპროდუქტები და აღმოჩნდა, რომ იქ რეკლამა პილიეთილენით იზოლაციის შემდეგაა მიკრობილი პროდუქციას. გამოდის რომ, **ჩვენი არსობის პურით ეს ჩვენ, ჩვენებურები, ვწამლავთ ათასებს, ვუმრავლებთ ონკოლოგიურ თუ სხვა დარდუბალას.**

ამისთანა გენოციდებზე მსჯელობდა დიდი ფრიდონ თოდუა, რომ ყოველწლიურად 17 000 ინფიცირებილი საქართველოს მოქალაქე ნამდვილი კატასტროფაა ასეთი პატარა ქვეყნისთვის, რომელთაგან მესამედი უეჭველადაა გადადებული გარდაუვალი სიკვდილისათვისო.

ორმოცი დღის სასრულს კლინიკის გენერალურ დირექტორს, ბატონი ფრიდონისგან მის სიცოცხლეშივე ხელდასხმულს, რადიოლოგს, მედიცინის დოქტორს, ეროვნული პრემიის ლაურეატს, ბატონ **გია წივწივაძეს** საგანგებოდ გავესაუბრე.

გია წივწივაძე: – ბატონი ფრიდონის წასლა დიდი დანაკლისაია ქართული ონკოლოგიისათვის, ზოგადად, საქართველოსთვის. მის კაბინეტში არავინ დაჯდება, იგი მუზეუმად გამოვაცხადეთ. მხოლოდ საპატიო სტუმრებს მივიღებთ იქ და ამით რაღაცნაირად პატივს მივაგებთ ამ ბუმბერაზი ადამიანის ხსოვნას.

პროოექტებზე მუშაობა გრძელდება. 2018 წელს ვამონტაჟებთ ძვირადღირებულ დანადგარს „PET“-ს — პოზიტრონულ-ემისიურ ტომოგრაფს. კოლექტივი აბსოლუტურად შენარჩუნებულია, მაგრამ რომც იყოს კონკრეტული გადაადგოლებანი, აქ საპრობლემო არაფერია, ჩვენთან იმდენად მძლავრი ონკოლოგიური მედპერსონალი ჩამოაყალიბა ბატონმა ფრიდონმა, რომ შეფერხებები თითქმის გამორიცხულია.

ჩვენი მთავარი პრობლემა ფრიდონის გარეშე მუშაობაა. შეეგუო იმ რეალობას, რომ ეს გონებანათელი და დიდად ჰუმანური ადამიანი გვერდით არა გყავს; შეეხო მის მიერ რუდუნებით მოპოვებულ დანადგარებს, ნივთებს, უმზირო მის მიერ ასობით გადარჩენილ ფერწერულ ტილოს, ეს ყველაფერი ერთის მხრივ, თითქოს დამთრგუნველია და მეორეს მხრივ, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის აღმძვრელიც თითოეულ ჩვენგანში.

მე ადრეც მიწევდა უცხოეთის მოწინავე ქვეყნებში რადიოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმებში მონაწილეობის მიღება და კვლავაც მომიწევს, ბუნებრივია, თანამდებობრივი სტატუსიდან გამომდინარე, მაგრამ დამეთანხმებით, მე და თითოეული ჩვენგანი ამ დიდი პიროვნების ემისარი ვიქნებით ყველგან და ყოველთვის. მეტსაც გეტყვით, ვფიქრობთ, მისი სახელობის პრემიის დანიშვნაზეც ეროვნული რადიოლოგიის შემდგომი აღმავლობისათვის ჩვენს ქვეყანაში.

– ბატონო გია, ზუგდიდის მერიაშიც შემუშავებულია პროექტები მისი სახელის უკვდავსაყოფად, — ჩავერთვები საუბარში, — მის ქუჩას, ალბათ, ფრიდონ თოდუას სახელი მიენიჭება. არის სხვა წინადადებებიც. ამასთან ვისარგებლებ თქვენი კეთილგანწყობით და უნდა გაუწყოთ, რომ შევუდექი რომანის „უფალი და მაფალუს“ წერას ონკოლოგიის პრობლემებზე, სადაც მთავარი ფიგურა ფრიდონ თოდუა იქნება, მაგრამ ახლა, უმისობისას, თქვენს დაუხმარებლად გამიჭირდება ამ მისიის წარმატებულად განხორციელება.

კარგია მისი კაბინეტი მუზეუმად რომ გამოგიცხადებიათ, მაგრამ მე პირადად ამ კაბინეტში შემსვლელი არ ვარ მანამ, სანამ წლების წინათ ჩაფიქრებულ რომანს, რომელიც გაცხოველებით იწერება, არ დავასრულებ, უთანასწორო ბრძოლაზე კაცობრიობის ნომერ პირველ მტერთან — კიბოზე. აი, როცა დაიბადება იგი, მოვალ მოკრძალებით, შენთან ერთად ბატონო გია, დავუდებ სამუშაო მაგიდაზე ბატონ ფრიდონს და ვეტყვი როგორც ცოცხალს: აჰა, აღმისრულებია დანაქადნები, იპოლიტოვიჩ, გამარჯვებული ხარ შენ ამ უთანასწორო ომში გონებანათელი დედამიწის სახელით და იყავი ზეციურ სასუფეველში აწ და მარადის მშობელი ერის მეხამრიდად, მართალო კაცო-მეთქი, – ვიტყვი ამას და გავეშურები კიბისკენ, უკვე გვარიანად გახუნებული ჟღალ მიმინოსფერი ჩანთით.

გური ოტობაია,
მწერალი.

როდის შეიძლება ნამალი საანამლავად იქცეს?

რამაზ გახოკიძე – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ამერიკის ფარმაკოგნოზიის საზოგადოების ნამდვილი წევრი. მინიჭებული აქვს სხვადასხვა მაღალი პრემიები. არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის მიერ შეყვანილია „XX საუკუნის გამოჩენილ ადამიანთა“ სიაში. არის ამერიკის ღირსების ორდენის და საქართველოს ღირსების ორდენის ორგზის კავალერი.

ბატონი რამაზი „საერთო გაზეთს“ ამჯერად იმაზე ესაუბრება. აქვე, იგი გაგვანდობს თუ რა საფრთხეები შეიძლება შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას საკვებისა და მედიკამენტების არასწორმა მოხმარებამ:

პოტენციის ამაღლება რისკის ფასად!

იმპოტენცია მამაკაცთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. სქესობრივი პათოლოგიების ძირითად მიზეზს ფუნქციური დარღვევები წარმოადგენს. იმპოტენციის დაქვეითების ფიზიოლოგიური მიზეზებია: გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი, ნეიროჰუმორული დარღვევები, რომლებიც გამოწვეულია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების პათოლოგიებით, ჰორმონული ბალანსის დარღვევით, თავისა და ზურგის ტვინის დაავადებებით, შარდ-სასქესო სისტემის ანთებითი პროცესებით (ქრონიკული ცისტიტი, ურეთრიტი, პროსტატიტი).

— ბატონო რამაზ, რა იწვევს სქესობრივი ფუნქციის დაქვეითებას?

— მიზეზი არაერთია, სექსუალური დისფუნქციის მიზეზად შეიძლება იქცეს: ცხოვრების არაჯანსაღი წესი, ცუდი ეკოლოგია, მავნე ჩვევები, არასწორი კვება, სტრესები, ფიზიკური დატვირთვის უქონლობა და ასევე, დაძაბული მუშაობით გამოწვეული დაღლილობა. სქესობრივი ფუნქციის დაქვეითება, შეიძლება, სამკურნალო საშუალებებმაც გამოიწვიოს, მაგალითად, ანტიბაქტერიულმა პრეპარატებმა, სულფანილამიდებმა და ანტიბიოტიკებმა, რომლებიც სპერმის გამომუშავების დაქვეითებას იწვევს. ანტიდეპრესანტები, ფსიქოტროპული ნივთიერებები, წნევის დამწევი პრეპარატები, ჰორმონული პრეპარატები: შაქრის დამწევი და ანაბოლური სტეროიდები – ასევე, იწვევს სექსუალურ დისფუნქციას. მოკლედ, მიზეზი მრავალია, ამიტომ, მკურნალობა დიფერენცირებულად, ექიმის მეთვალყურეობით უნდა ჩატარდეს. „მამაკაცური ძალის“ აღსადგენად ხშირად იყენებენ სპეციალურ პრეპარატებს, რომელთა მიღება კატეგორიულად არ შეიძლება საგულე საშუალებებთან ერთად როგორებიცაა: ნიტროგლიცერინი, ნიტროკაპი, ტრინიტროლონგი და ა.შ. მათი ერთად მიღება შესაძლოა წნევის მკვეთრი დაცემის მიზეზი გახდეს. გულით დაავადებულთათვის პოტენციის ასამაღლებელი პრეპარატების მიღება ექიმის დანიშნულების გარეშე დაუშვებელია.

— ბატონო რამაზ, პოტენციის ასამაღლებლად ბევრი მამაკაცი „ვიაგრას“ მოიხმარს. რამდენად უსაფრთხოა ეს პრეპარატი?

— დიახ, ამ პრეპარატს პოტენციის ასამაღლებლად მოიხმარენ, თუმცა, რეალურად, იგი სულ სხვა დანიშნულებით შეიქმნა. 1992 წელს ფარმაკოლოგიური კომპანია „პფაიზერი“ ახალი პრეპარატის სილდენაფილის კლინიკურ გამოკვლევებს ატარებდა, რომელიც გულის დაავადებათა სამკურნალოდ იყო შემუშავებული, მაგრამ მისი გავლენა მინიმალური აღმოჩნდა, რიგ შემთხვევებში საწინააღმდეგო ეფექტი მისცა. ტესტირებაში მონაწილეებს პრეპარატის დაბრუნება მოსთხოვეს, მაგრამ მამაკაცთა უმრავლესობამ აბების დაბრუნებაზე უარი თქვა, რადგან მათი დახმარებით ერექციის ხარისხი საკმაოდ გაუუმჯობესდათ. ასე შეიქმნა „ვიაგრა“. უნდა აღინიშნოს, რომ „ვიაგრამ“ მიჩვევა იცის და მამაკაცებს მის მიმართ ფსიქოლოგიური დამოკიდებულება უჩნდებათ. „ვიაგრას“ მიღება კატეგორიულად დაუშვებელია მათთვის, ვისაც აწუხებს სტენოკარდია, გულის უკმარისობა, ტვინის სისხლის მოძრაობის დარღვევა და თირკმლების უკმარისობა. „ვიაგრას“ ხშირი მოხმარება იწვევს მეხსიერებისა და გონებრივი აქტიურობის დაქვეითებას, მხედველობის დარღვევას, თავის ტკივილს. უტყუარი ინფორმაცია ამ მედიკამენტის მავნებლობაზე არ არსებობს, რადგან პრეპარატის მწარმოებელი ფირმები, შესაძლოა, კომერციული მიზნების გამო, მსგავსი ინფორმაციის გავრცელებას ხელს უშლიან. მოგახსენებთ, რომ პოტენციის დაქვეითება დაკავშირებულია მამაკაცური ჰორმონის – ტესტოსტერონის გამომუშავებასთან. რაც უფრო მაღალია ჰორმონის შემცველობა, მით უფრო გამოხატულია სექსუალური ლტოლვა. ლიბიდოს დაკარგვის შემთხვევაში ბევრი მამაკაცი ტესტოსტერონის არასაკმარისი რაოდენობის შესავსებად მიმართავს ჰორმონალურ თეარაპიას აბების, ინიექციების ან სალბუნების სახით, მაგრამ ხელოვნურად მიღებულ სტეროიდებს მრავალი უკუჩვენება გააჩნია, ამიტომ დამოუკიდებლად მკურნალობა არ შეიძლება. ტესტოსტერონის რეგულარული გამოყენება ორგანიზმის ტონუსის, მათ შორის, სექსუალური ფუნქციის გასაძლიერებლად, ძალიან საშიშია. ბევრად უსაფრთხოა მცენარეული წარმოშობის პრეპარატებით მკურნალობა.

კარგ ეფექტს იძლევა აპითერაპია – თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტებით მკურნალობა. თანაცხოვრების პირველ თვეს ტყუილად კი არ უწოდებენ თაფლობის თვეს. თაფლი და მტვერი დიდი ოდენობით შეიცავს ბიოსტიმულატორებს, ჰორმონებს, ამინმჟავებს, ვიტამინებს, მიკროელემენტებს. სასარგებლოა თაფლის მიღება ზამთარში 2–3 სუფრის კოვზი ყოველდღიურად, ხოლო ზაფხულში, როცა თაფლი ახალია 1,5–2-ჯერ მეტი რაოდენობით.

როგორ დავძლიოთ იმპოტენცია?

სექსუალური სურვილის აღმგზნები ბუნებრივი სტიმულატორია ჟენ-შენის ფესვები, ყვავილის მტვერი, მუმიო თაფლითა და კვერცხის გულით;

სექსუალურ აქტიურობამდე ერთი საათით ადრე მიიღეთ 2 ჩაის კოვზი ელეუტეროკოკის სპირტიანი ექსტრაქტი (უკუნაჩვენებია ჰიპერტენზიის დროს);

სქესობრივი აქტიურობის გასაძლიერებლად დაქუცმაცებულ კაკლის გულს დაამატეთ თანაბარი რაოდენობით თაფლი. მიიღეთ 2 ჩაის კოვზი 2–3-ჯერ დღეში ჭამამდე 30 წუთით ადრე რამდენიმე კურსად. კურსის ხანგრძლივობა ერთი თვე. შეგიძლიათ ყოველდღე მიიღოთ 75 გრამი ნიგოზი;

წვრილად დაკეპეთ 200 გრამი ჩირი უკურკოდ (ლეღვი, ქიშმიში, შავი ქლიავი) და 12 კაკლის გული, აურიეთ და შეინახეთ მაცივარში. მიიღეთ დღეში 2 სუფრის კოვზი კეფირთან ერთად;

ერთ სუფრის კოვზ შალგს, რომელიც ამაღლებს სქესობრივ აქტიურობასა და ხელს უწყობს სპერმის გამომუშავებას, დაასხით დაახლოებით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი, დააყოვნეთ ორი საათი და მიიღეთ 100–100 მილილიტრი 2-ჯერ დღეში;

ჭინჭრის დანაყილი თესლი შეურიეთ ერთ ბოკალ ღვინოს და დაუმატეთ ერთი კოვზი თაფლი. მიიღეთ ყოველ საღამოს ძილამდე 30წთ-ით ადრე;

ერთ ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ნიორს დაასხით 400მლ ცივი გადადუღებული წყალი და დააყოვნეთ 1 საათი, მიიღეთ 100–100მლ 3-ჯერ დღეში კვებამდე (უკუნაჩვენებია თირკმლების დაავადების დროს); მამაკაცური პოტენციის ამაღლებას ასევე, ხელს უწყობს მუქი შოკოლადი კაკაოს მაღალი შემცველობით;

განსაკუთრებით სასარგებლოა გაღვივებული გოგრის თესლი, რომელიც მდიდარია თუთიითა და E ვიტამინით. ჯამის ფსკერზე ჩაფინეთ წყლით დასველებული ჩვარი, მასზე თანაბრად დაალაგეთ თესლები და ჯამი რაფაზე შემოდგი თ. თვალყური ადევნეთ, რომ თესლები ყოველთვის სინოტივეში იყოს, დროგამოშვებით ჯამში დაამატეთ წყალი (თესლებს არ დაასხათ). 1–2 დღის შემდეგ, როცა მარცვლები გაღვივებას დაიწყებს, შეიძლება მათი საკვებად გამოყენება. ამ პერიოდში ისინი ყველაზე უფრო მდიდარია ვიტამინებით, განსაკუთრებით E ვიტამინით. გოგრის გარდა, ამგვარად, შეგიძლიათ მზესუმზირის, ხორბლის, ჭვავის, წიწიბურას თესლების გაღვივება ცალ-ცალკე და ერთად;

აფთიაქში შეიძინეთ წაბლის, თხაწართხალას ყვავილი, დაუმატეთ მოცვისა და ჟოლოს ფოთლები ნებისმიერი პროპორციით და აურიეთ. აიღეთ ამ ნარევის 5–7 სუფრის კოვზი, დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი, დაამატეთ რევანდის ყუნწები და ადუღეთ 5 წუთი. შემდეგ ოთახის ტემპერატურაზე დააყოვნეთ 2 საათი და გაწურეთ. მზა კომპოტს შაქრის ნაცვლად დაუმატეთ თითო-თითო ჩაის კოვზი თაფლი და ძახველისა და შავი მოცვის მურაბა. კომპოტი სვით დღის განმავლობაში; სასარგებლოა ფეხშიშველა სიარული. ეფექტს იძლევა არა რბილ ნოხზე, არამედ ზღვის მსხვილქვიშიან ნაპირზე სიარული. სიყვარულს და სექსსაც ასაკი არ გააჩნია. იმპოტენცია არ არის განაჩენი. სექსუალური დღეგრძელობა ასაკზე დამოკიდებული არ არის. მაგალითად, 90 წელს გადაცილებულ ამერიკელ მამაკაცთა უმრავლესობამ კითხვას, თუ როდის დაკარგეს სექსისადმი ინტერესი, უპასუხეს, რომ მათ ამ ასაკისთვის ჯერ არ მიუღწევიათ.

(გაგრძელება იქნება)

თამარ შველიძე
555 23 28 24

პრეზიდენტი მიდის! პრეზიდენტი მოდის! გაუმარჯოს პრეზიდენტს!

აკადემიური უნდა იყოს ჩვენი პრეზიდენტიო – გვითხრეს, მომავალიო, მომავალი, თორემ, ძველი კოკასა შიგან იდგა და წარმოდინდა უკვეო.

რაო? აკადემიურიო? ანუ, ეს ფილოსოფოსი პრეზიდენტი აკადემიური ქცევებითაც არ გამოირჩეოდა? მოვუკვდი მე მაგას აღარა. როგორ დახვეწილად იცოდა ხოლმე ღაწვების აფაკვლა – იცოდა რატომ, თუმცა? ჯერ კიდევ, იცის. არსად წასულა, ვერსად გაგიგდიათ.

ხოდა, მიდის მსჯელობა, ვინ იქნება ახალი პრეზიდენტი, როგორი იქნება, რა გვარისა და წარმოგენებას – როცა ავირჩიეთ, მაშინაც მივქარეთო.

მომავლობის, ცოლი ეყოლება თუ კარგი ცოლი, შვილის ყოფილი ქმრები და მეგობრები ნასამართლევი ნარკომანები ეყოლება თუ დოცენტები და ასე უსასრულოდ.

არადა პრეზიდენტი ცოცხალია, პრეზიდენტს ვადა არ გასვლია, პრეზიდენტს ჯერ მოსავალი არ აუღია.

რა კეთილი, რა თბილი, როგორი მოსიყვარულე – ყველას გვერდით ედგა – ყველა ფეხმსუბუქი ქალბატონის ქომაგი, ყველა ნარკომანის და ხულიგანის დამცველი... მაინც ავიწროებდნენ, მაინც ჩაგრავდნენ, მაინც აუგად იხსენიებდნენ...

ახლა კი, ახლა სიცოცხლეშივე, მმართველობის პერიოდშივე შემცვლელი უნდათ მოუძებნონ...

მოვუკვდი მე აღარა, ასულა დუშეთში, პრეზიდენტი რომ გახდა მას მერე, გაუჩერებია მანქანა ბირჟასთან და ჩამოურიგებია სამიოდე ადამიანისთვის მთელი 30 ლარი... დადის ოთხი წელია ეს ამბავი ლეგენდად. დადის რა, მე თავად დავატარებ თუ დავათრევ – რად გინდა, არავინ უფასებს, არავინ აიტაცა, არავინ გააპიარა...

თქვენზე იყოს იმ სამი ადამიანის ცოდო, მარგველაშვილი რომ მეორედაც აგერჩიათ – ხომ ისევ ავიდოდა, ხომ ისევ გააჩერებდა ბირჟასთან მანქანას და ხომ ისევ ჩამოარიგებდა 30 ლარს?

ახლა, მარგველაშვილს საერთოდ არავინ უპირებს კანდიდატად წამოყენებას – როცა ავირჩიეთ, მაშინაც მივქარეთო.

რათა, კაცო, რათა?

ტყუილად ირხეოდა მთელი ოთხი წელი ლერწამის თავთავივით ხან აქეთა მხარეს და ხან იქეთა? თქვენ ფუყე თავთავის რხევაში არ აგერიოთ, ფილოსოფოსის თავი და მხრები, მსუყე თავთავის რხევა რა რთული ამბავია, იცით, განა?

საერთოდ, თუ არ გინდოდათ და არ მოგწონდათ, რას აგვარჩევინეთ, ბატონო, რას მოგვაბვიეთ თავს, ჩვენი თავის ტკივილი არ გვეყოფოდა, ახლა ამ საცოდავის მწარე ბედზეც რომ უნდა ვიდარდოთ?

არ გვინდოდა და არ მოგვწონდა რას გვიქვიან – არ ვიცნობდით საერთოდო...

ბიჭოს, გაგეცნოთ ჯერ, დაგიშალეთ?

ნაციონალებო, თქვენ რაღა მოგივიდათ, აკი, როცა ვეტო გჭირდებოდათ, მაშინ სადილად პატიჟებდით და არც დანა-ჩანგლის მოხმარების წესს უწუნებდით და ახლა? ახლა ვის უტოვებთ? ახლა რატომ მოიძულეთ? ახლა რატომ ეძებთ ახალ კანდიდატს? რავა, ამას ცუდად ეფაკლება ღაწვები?

გუშინდელივით მახსოვს, როგორ წარგვიდგინეს მეოჯახე ფილოსოფოსი ოჯახის გარეშე და როგორ გვითხრეს რომ უნდა აგვერჩია.

ახალ კანდიდატს რა ეშველება, ნეტავი? ახალ კანდიდატს ვინ წარადგენს და ვინღა გვთხოვს გვერდში დავუდგეთ და შემოვხაზოთ?

ახლა, მეორეს მხრივ, მარგველაშვილი თუ შემოვხაზეთ, იმიტომაც არ მოეხაზა, აი? იმიტომაც არ მოგვეხაზა, აი?

კაცო, რამდენმა პრეზიდენტმა გაიარა ჩემს ხელში, არც ერთი არ შემცოდებია ასე, იმიტომ რომ, ამ საწყალმა პრეზიდენტობის მეტი არაფერი იცის და რა უნდა ქნას აწი, რა გააკეთოს, რით ირჩინოს თავი, რით არჩინოს ოჯახი, ვინღა მისცემს კარტოფილის თესლს, ვინღა მოურწყავს ნარგავებს? სადღა ექნება ძვირადღირებული ვისკი და კოსტიუმები?

გული მეწურება, მაგრამ რა ვუყო...

როცა მე მისკენ ვიყავი, ის ეშმაკებისკენ იყო და ახლა ეშმაკებიც რომ შემოეცალნენ და დარჩა ეულად – კი ისევ მისკენ ვარ, მაგრამ ეშმაკსაც რომ დავიწყებია, ისეა მაგისი საქმე და ვეღარ ვუშველი.

მაინც მიკვირს, ვინ, კაცო, ვინ უნდა მოიყვანოთ ამაზე აკადემიური, ამაზე ბუნჩულა, ამაზე კეთილი და თბილი, ამაზე ჭკვიანი და განათლებული? – მაინც რა საყვარლად ეფაკლება ხოლმე ღაწვები – ჩაქრიიი...

პრეზიდენტი მიდის და პრეზიდენტი მოდის!

გაუმარჯოს პრეზიდენტს!

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

– ვის მიერ უნდა მოხდეს განქორწინების მოწმობის გაცემისას ბაჟის გადახდა?

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1131- მუხლის მიხედვით, განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელმა მეუღლემ უნდა გადაიხადოს კანონით განსაზღვრული ბაჟი, ასევე, თუ საჭიროდ მიიჩნევს, რომ ბაჟი უნდა გადახდეს ორივე მეუღლეს, იგი განსაზღვრავს თითოეული მეუღლის მიერ გადასახდელ თანხას.

* * *

– დაახლოებით, ორი წლის წინ ჩემი ვაჟი განქორწინდა მეუღლესთან. ბავშვებს ნახულობს მხოლოდ მამამისი. ყოფილი რძალი ჩვენ, ბებიას და პაპას, არ გვანახებს შვილიშვილებს, რომლებსაც, შეიძლება ითქვას, ცოლ-ქმრის განქორწინებამდე ჩვენ ვზრდიდით. შეგვიძლია თუ არა, მოვითხოვოთ სასამართლო წესით შვილიშვილების ნახვა?

– სამწუხაროა, რომ ყოფილი რძალი შვილის ბებიასთან და პაპასთან დამოკიდებულებას გაგებით არ ეკიდება. თქვენ შეგიძლიათ, მოითხოვოთ სასამართლო წესით შვილიშვილების ნახვა.სამოქალაქო კანონმდებლობა ბებიას და პაპას ამის უფლებას ანიჭებს. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1203-ე მუხლის მიხედვით, პაპას და ბებიას უფლება აქვთ, ურთიერთობა იქონიონ თავიანთ არასრულწლოვან შვილიშვილთან მაშინაც, როცა ისინი უშუალოდ არ მონაწილეობდნენ შვილიშვილების აღზრდაში. თუ მშობლები ან მეურვე / მზრუნველი / უარს ეუბნებიან პაპასა და ბებიას შვილიშვილებთან ურთიერთობაზე, სასამართლოს შეუძლია, დაავალდებულოს მშობლები ან მეურვე /მზრუნველი/ საშუალება მისცენ პაპას ან ბებიას, ურთიერთობა იქონიონ შვილიშვილებთან სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ეს ხელს არ შეუშლის ბავშვების ნორმალურ აღზრდას და ცუდ გავლენას არ მოახდენს მათზე.

* * *

– შეიძლება თუ არა ჩემი 15 წლის ქალიშვილი მშობლების თანხმობით სამოქალაქო წესით დაქორწინდეს ვაჟზე, რომლისგანაც ბავშვს ელოდება?

– არა. ასეთი გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ 16 წლის ასაკიდან, მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით / საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის მე-2 ნაწილი/.

* * *

– მაინტერესებს „საჩუქრის“ თემა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით.

– კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე- 5 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ამ კანონის მიზნებისათვის „საჩუქარი“ არის საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება ან გაწეული მომსახურება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, რომელიც წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს.

მე-2 ნაწილი: საჯარო მოსამსახურის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა – 5%-ს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.

მე-3 ნაწილი: საჯარო მოსამსახურის ოჯახის თითოეული წევრის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება ოჯახის თითოეულ წევრზე არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს, ხოლო

ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა – 500 ლარს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.

ამავე კანონის 51-ე მუხლის მიხედვით, ამ კანონის მიზნებისათვის „საჩუქრად“ არ ჩაითვლება:

ა) სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გადაცემული გრანტი, სტიპენდია, ჯილდო, პრემია;

ბ) „დიპლომატიური საჩუქარი“, რომელიც გადაეცემა საჯარო მოსამსახურეს ოფიციალური ან სამუშაო ვიზიტის დროს პროტოკოლით გათვალისწინებული წესით და რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს;

გ) საქართველოს ან სხვა ქვეყნის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან დაწესებულების მიერ საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის პირად საკუთრებაში გადაცემული სიმბოლური ნიშანი ან სუვენირი, რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს და რომელიც მიღებულია ერთი წყაროდან ოფიციალური ღონისძიების ჩატარების დროს;

დ) საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, შეღავათიანი პირობებით გაწეული მომსახურება, რომელიც არ წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს;

ე) საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის ახლო ნათესავის მიერ უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება;

ვ) საჩუქრად გადაცემული ნაბეჭდი გამოცემები, გარდა იმ კულტურული ფასეულობებისა, რომლებიც გათვალისწინებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

ამავე კანონის 52-ე მუხლის მიხედვით, თუ საჯარო მოსამსახურე ან მისი ოჯახის წევრი საჩუქრის მიღების შემდეგ დაადგენს, რომ საჩუქრის ღირებულება აღემატება ამ კანონით დასაშვებ მოთხოვნებს ან/და გარკვეული მიზეზებით (ფოსტით მიღებული საჩუქარი, საჯაროდ გადაცემული საჩუქარი) შეუძლებელი იყო საჩუქრის მიღებაზე უარის თქმა, მაშინ ის ვალდებულია საჯარო სამსახურის ბიუროში წარადგინოს მიღებული საჩუქრის დასახელება, შეფასებითი ან ზუსტი ღირებულება/ოდენობა, მიუთითოს მჩუქებლის ვინაობა, ხოლო აკრძალული საჩუქარი სამი სამუშაო დღის ვადაში გადასცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საფინანსო სააგენტოს.

ყველაზე უიღბლო ადამიანები

ყველასთვის ცნობილია, რომ წარმატებული ვერ გახდები, თუ იღბლიანიც არ ხარ. ზოგჯერ წარმატების მისაღწევად ადამიანები ყველაფერს აკეთებენ, მაგრამ უშედეგოდ. ამის მიზეზი კი, უბრალოდ ის არის, რომ მათ იღბალი არ სწყალობთ. ყველაზე უიღბლო ადამიანები მაინც მოხვდნენ ისტორიაში, მაგრამ არა თავიანთი მიღწევების წყალობით, არამედ ბედის არაკეთილგანწყობის გამო. მათ შორის ბევრი უდიდესი ადამიანია, რომელთაც გადამწყვეტ მომენტში იღბალმა ზურგი აქცია იმ დროს, როცა შეიძლებოდა,კაცობრიობისთვის უფრო მნიშვნელოვნები გამხდარიყვნენ.

კოლუმბი

ანტონიო სალიერი

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ სალიერი ის ბოროტმოქმედია, ვინც მოცარტი შურის გამო მოკლა. ითვლება, რომ სალიერი საშუალო დონის კომპოზიტორი იყო, იურისტებისთვის და ფსიქიატრებისთვის კი ცნობილია სინდრომი, რომელსაც მისი სახელი ეწოდა — ეს პროფესიული შურის ნიადაგზე ჩადენილ დანა-

სალიერი

შაულს ნიშნავს. სალიერის ერჩივნა, უსახელოდ მომკვდარიყო, ვიდრე ამგვარად გაეთქვა სახელი. სინამდვილეში იგი თავისი დროისთვის მნიშვნელოვანი პერსონა გახლდათ — დირიჟორობდა ვენის იტალიურ ოპერას, ავსტრიის დედაქალაქში კონსერვატორიის ერთ-ერთი დამფუძნებელიც იყო. სალიერის ნაწარმოებები იდგმებოდა ევროპის უდიდეს თეატრებში. მის მოსწავლეთა შორის იყვნენ შუბერტი, ლისტი და ბეთჰოვენი. თანამედროვენი იხსენებენ მას, როგორც კეთილ და წესიერ ადამიანს. როდესაც მისი მასწავლებელი გლუკი გარდაიცვალა, სწორედ სალიერი ზრუნავდა მის ოჯახზე. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე სალიერიმ ფსიქიკური დაავადება გადაიტანა, რომლის დროსაც მან განაცხადა, რომ მოცარტი მოწამლა, ხოლო გონებაზე მოსვლის შემდეგ თავის აღიარება უარყო. მილანში გამართულ სასამართლო მოსმენებზე ადვოკატებმა მოსამართლეები სალიერის უდანაშაულობაში დაარწმუნეს. მიუხედავად იმისა, რომ მთელი დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში სალიერი ამტკიცებდა, რომ მოცარტი არ მოუკლავს, მას მაინც ყველა ბოროტ გენიად და შურიან იუღბლოდ თვლის, რომელმაც ნიჭიერი მოცარტი მოკლა.

რობერტ სკოტი

ამ ინგლისელ მკვლევარს პოლარული გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ მაინც გაემართა ანტარქტიდის შესასწავლად. შედეგად, 1901–1904 წლებში მან აღმოაჩინა ედუარდ VII-ის ნახევარკუნძული, ტრანსარქტიკული მთები და გამოიკვლია ვიქტორიის მიწა. იმის მიუხედავად, სკოტმა არ იცოდა რუსეთში შეძენილი ძაღლებშებმული მარხილის მართვა, ექსპედიცია მაინც წარმატებული აღმოჩნდა. მოგზაურმა ამ აღმოჩენებისთვის ამერიკის, ინგლისის, დანიისა და შვედეთის გეოგრაფიული საზოგადოებებისგან ოთხი ოქროს მედალი მიიღო. წარმატებით შთაგონებული სკოტი სამხრეთ პოლუსის დასალაშქრად გაემგზავრა. ურთულესი ყინულოვანი გზა დასასრულს უახლოვდებოდა, მაგრამ დანიშნულების ადგილზე მათ ნორვეგიის დროშა დახვდათ. აღმოჩნდა, რომ მათ ერთი თვით დაასწრო ამუნდსენმა. გულგატეხილი ინგლისელები უკან გამობრუნდნენ. ყინულოვანმა უდაბნომ ხუთივე მოგზაური შეიწირა. მათი სხეულები მაშველებმა მხოლოდ რვა თვის შემდეგ აღმოაჩინეს. სკოტს 11 მილი დააკლდა, რომ საკვების მარაგამდე მიეღწია. სიკვდილის წინა წერილში მკვლევარი წერს, რომ ექსპედიციის დაღუპვის მიზეზი ცუდი ორგანიზაცია კი არა, უბრალოდ, უიღბლობა იყო.

კერი პეკერი

მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალიელ კერი პეკერს დიდძალი ქონება აქვს, მას მუდმივად უიღბლობა სდევს თან. ნავთობმომპოვებელი ქვეყნების შეიხებთან და უმსხვილეს მაფიოზებთან ერთად იგი იმ 150 მთავარ მოთამაშეთა სიაში შედის, რომლებსაც ნებისმიერი კაზინო კრედიტის სახით 5 მილიონ დოლარამდე თანხას მისცემს. ეჭვიც არ შეგეპაროთ, პეკერი ნებისმიერ დანახარჯს აანაზღაურებს, ამ მედია-მაგნატის ქონება დაახლოებით 3,7 მლრდ დოლარია. წელიწადში დაახლოებით ოთხჯერ მაინც ჩადის იგი ლას-ვეგასში და დიდ თანხებზე თამაშობს. მისი ფსონი 100–1500 ათას დოლარამდეა. ოდესღაც მასაც უმართლებდა, ვიდრე ფორტუნა მიატოვებდა. ასე, მაგალითად, 1995 წელს მან ბლექ-ჯეკში 19,5 მლნ დოლარი მოიგო. მომდევნო მსხვილი მოგების შემდეგ იგი ისეთი გახარებული იყო, რომ კაზინოს 500 თანამშრომელს 1,3 მლნ დოლარი გაუნაწილა. მომდევნო მოგების შემდეგ კი ოფიციანტს, რომელიც სასმელებს დაატარებდა, 120 ათასი დოლარი აჩუქა. მაგრამ, დროთა განმავლობაში ბედმა უმტყუნა მას და მას შემდეგ დიდ თანხებს აგებს და აგებს. 2000 წელს კერი პეკერმა ლას-ვეგასში რამდენიმე ვიზიტის განმავლობაში დაახლოებით 40 მლნ დოლარი წააგო.

პიტ ბესტი

ამ მუსიკოსის სახელი ბევრისთვის არ არის ცნობილი, თუმცა, მას შეეძლო ლეგენდა გამხდარიყო. ბესტი ჯგუფ „ბითლზის“ შემადგებლობაში იყო, თუმცა ტრიუმფამდე ნახევარი წლით ადრე დატოვა ის. 1960 წელს ამ ჯგუფს დასარტყამი ინსტრუმენტებზე დამკვრელი სჭირდებოდა. ამ როლზე ბესტი მშვენივრად გამოდგებოდა, რადგან მას საკუთარი დასარტყამი დანადგარი ჰქონდა, დედა კი ლივერპულში ერთ-ერთი პოპულარული კლუბის მფლობელი იყო. 1962 წელს ჯგუფის პროდიუსერმა მოუსმინა ჯგუფს, მაგრამ პიტი პრინციპულად არ მოეწონა. მაშინ მისი ადგილი რინგო სტარმა დაიკავა. „ბითლზებმა“ სინგლი “Love me do” ჩაწერეს და ინგლისის ჰიტ-პარადში მე-17 ადგილი დაიკავეს. ამ წარუმატებლობის შემდეგ პიტ ბესტი მეფუნთუშე გახდა. მუსიკალური კარიერა ვერ აიწყო, მაგრამ მის მიერ შექმნილი ჯგუფი „ბითლზების“ ქავერ-ვერსიებს ასრულებდა.

რობერტ სკოტი

დევიდ ბიუიკი

ამ ამერიკელმა გამომგონებელმა თავისი ნიჭი ახალგაზრდობაშივე გამოავლინა. შედეგად, ბიუიკმა გამოგონებაზე 13 პატენტი მიიღო, რომლებიც წყალგაყვანილობასთან იყო დაკავშირებული. მან გამოიგონა სარწყავი მოწყობილობა, რომელსაც მოძრავი თავი ჰქონდა, ტუალეტის ჩასარეცხი ავზი, რომელიც მაღლა იყო განთავსებული და თუჯის აბაზანების მოჭიქვის სრულიად ახალი ტექნოლოგია, რომელიც ამჟამადაც გამოიყენება. საკუთარი გამოგონებების წყალობით ბიუიკი ადვილად გახდებოდა მულტიმილიონერი, მაგრამ მან თავისი სანტექნიკური ბიზნესი 100 ათას დოლარად გაყიდა. მისი ახალი გატაცება შიდა წვის ძრავები გახდა. ბიუიკმა ავტომობილის წარმატებული პროექტი შექმნა, მაგრამ ვერ გამოიყენა, რადგან ბიზნესმენისთვის საჭირო თვისებები არ აღმოაჩნდა. ამ პერიოდში ბიუიკის პარტნიორმა უაიტინგმა გაიცნო „ჯენერალ მოტორსის“ დამაარსებელი დიურანტი და კომპანიების გაერთიანებაზე დაელაპარაკა მას. ახალ ფირმაში დევიდისთვის ადგილი ვერ გამოიძებნა. შემდგომში ბიუიკმა უიღბლო ბიზნესმენის სახელი გაიმყარა. ახალი საავტომობილო კომპანიების შექმნის მცდელობისას იგი საერთოდ გაკოტრდა და პროვინციელი კლერკი გახდა. 1929 წელს ყველასგან დავიწყებული ბიუიკი სიღარიბეში, კიბოთი გარდაიცვალა, მისი მანქანები კი ათასობით იყიდებოდა. ცნობილი ბრენდი ყოველი ამერიკელისთვის იყო ცნობილი. იუღბლო გამომგონებელი კი გარდაცვალების შემდეგაც კი გაქურდეს — ავტომობილის ემბლემად ბიუიკის საგვარეულო გერბი იქცა.

ქრისტეფორე კოლუმბი

მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანს წილად ხვდა ახალი მიწების აღმომჩენის უდიდესი დიდება, მისი ნაყოფით სარგებლობა ვერ შეძლო. თანაც, იმის შესახებ, რომ იგი ახალი მატერიკის აღმომჩენი გახდა, კოლუმბმა ვერ გაიგო. მის მიერ აღმოჩენილ მიწას ამერიგო ვესპუჩის სახელი ეწოდა. ექსპედიციის დაწყებამდე დედოფალი იზაბელა კასტილიელი კოლუმბს დაჰპირდა, რომ ყველა აღმოჩენილი მიწის გუბერნატორი იქნებოდა. თუმცა, ზღვაოსანი კარგი მმართველი ვერ გამოდგა, იგი დაკავებული თანამდებობიდან გადააყენეს და ესპანეთში დააბრუნეს ბორკლდადებული. თავად ესპანელები აღშფოთებულნი იყვნენ მოგზაურის ბორკილებში ხილვის გამო, საზოგადოებრივი აზრის გავლენით ხელისუფლებამ კოლუმბი გაათავისუფლა. თუმცა იგი ძალიან განაწყენებული იყო და მოითხოვა, ბორკილები კუბოშიც ჩაედოთ მისთვის. კოლუმბის აღმოჩენებით სხვა ადამიანები სარგებლობდნენ და ზღაპრულად გამდიდრდნენ კიდეც.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ახალ-დასავალის“ სტამბაში. აღლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com